პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 9 მაისი, 1952 წ. № 109 (9269). ფასი 20 კაპ.

## დღეს გამარჯვების დღეა.

**შვიდი წლის წინათ საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით უდიდესი ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს გერმანულ იმპერიალიზმზე, იხსნეს მთელი მსოფლიოს ხალხები ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.**

**გაუმარჯოს გმირულ საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!**

**დიდება ჩვენს ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს დიდ სტალინს!**

# საბჭოთა ხალხის სახელოვანი, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება

შესრულდა შვიდი წელი მას შემდეგ, რაც გმირმა საბჭოთა არმიამ გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა არმია მის საკუთარ ბუნაგში, ძლევამოსილად დააგვირგვინა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხმა გერმანიის ფაშიზმის, ხოლო შემდეგ იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია, ბრწყინვალედ გაუძლო სასტიკ გამოცდას. ეს გამარჯვება მოპოვებულია ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის უდიდესი გმირობისა და თავგანწირვის მეოხებით.

დიდ სამამულო ომში გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა გმირმა საბჭოთა არმიამ. ომმა დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ყველაზე საუკეთესო და სიცოცხლისუნარიანი ფორმაა. საბჭოთა სახელმწიფომ მტკიცედ გადაიტანა ომის ყველა სიძნელე, მამაცურად გაუმკლავდა შემოსეულ მტერს, გააქარწყლა მითი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ და ნამსხვრევებად აქცია ჰიტლერული სახელმწიფო მანქანა. ომმა დაგვანახა, რომ ურღვევი და მტკიცეა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

სამშობლოსათვის დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლების დღეებში მილიონობით მუშას, გლეხს, ინტელიგენტური შრომის მუშაკს აღაფრთოვანებდა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური იდეები. საბჭოთა პატრიოტიზმი, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი მამოძრავებელი ძალა, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხის უდიდესი ერთგულება სამშობლოსადმი, გადაიქცა ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობისა და ფრონტზე საბრძოლო გმირობის უმრეტ წყაროდ.

დიდ სამამულო ომში მტერზე გამარჯვება უზრუნველყო სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ. ეს გამარჯვება არ იქნებოდა, რომ არ განხორციელებულიყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკა. ჩვენი სამშობლო გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომლის კედლებზე დაიმსხვრა და კვლავაც დაიმსხვრევა მსოფლიო რეაქციის ყველა შემოტევა. ბოლშევიკური პარტია საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. სწორედ მან გააერთიანა მთელი ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად, სწორედ მან დაუმორჩილა ყველაფერი ერთ დიდ მიზანს — მტრის განადგურების მიზანს.

სამამულო ომში გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხის დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლის საჭესთან იდგა თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი, გენიალური მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ამხანაგი სტალინი. დიდი სტალინის ორგანიზატორულმა გენიამ მთელი მსოფლიოს ცივილიზაცია იხსნა ფაშისტი ბარბაროსების მიერ მოსპობისაგან. **„ეს ჩვენი ბედნიერება იყო, — ამბობს ამხ. ვ. მოლოტოვი, — რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი“.**

საბჭოთა არმიამ წარმატებით შეასრულა თავისი განმათავისუფლებელი მისია, ფაშისტური გერმანიის ბატონობისაგან იხსნა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხები. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც დიდი საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას, გამსჭვალული არიან საბჭოთა არმიისადმი, განმათავისუფლებელი არმიისადმი უდიდესი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი დიდი პატრიოტული აღმავლობით შეუდგა მშვიდობიან ქემოქმედებითს შრომას. ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში საბჭოთა ხალხს დაუსახა კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. საბჭოთა ხალხი, გმირი ხალხი, შემოქმედი ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით აშენებს კომუნიზმის გიგანტებს ვოლგასა და დნეპრზე, ამუ-დარიასა და დონზე.

დიადი სტალინური მშენებლობანი, რომელთა დამთავრებით იქმნება კომუნიზმის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ერთხელ კიდევ მოწმობენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობას, მის უშრეტ ძალასა და ძლიერებას. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საბჭოთა ქვეყანა ომიდან გამოვიდა არა დაუძლურებული, როგორც ეს ჩვეულებრივ ემართებათ კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ უფრო განმტკიცებული და მძლავრი, ურყევი და თავის ძალებში ღრმად დარწმუნებული.

საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა, ხოლო მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 7 მილიარდ 400 მილიონი ფუთი შეადგინა. ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური ზრდის მკაფიო მაჩვენებელია სახელმწიფო საცალო ფასების მეხუთეჯერ შემცირება.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ გამოიწვია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შექმნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში, დიდი სახალხო რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში. მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანს მოიცავს, მიზნად ისახავს ახალი ომის თავიდან აცილებას, ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა ალაგმვას. მშვიდობის ბანაკს უპირისპირდება ომისა და რეაქციის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას ამერიკის იმპერიალიზმი. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებიც ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს, აგრესიის მომზადებიდან აგრესიის პირდაპირ აქტებზე გადავიდნენ. ისინი არაფერს არ ერიდებიან იმისათვის, რომ მსოფლიოს თავს მოახვიონ ხალხთა ახალი ხოცვა-ჟლეტა, დანაშაულებრივ ომს ეწევიან თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ბაქტერიოლოგიურ ბომბებს აყრიან მშვიდობიან მცხოვრებთ. უოლსტრიტელმა ყაჩაღებმა თავიანთი საზიზღარი დანაშაულით დიდად გაასწრეს გერმანელ ფაშისტებს და მსოფლიოს მილიონობით ადამიანის აღშფოთება და გულისწყრომა დაიმსახურეს. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების დანაშაულებრივ მოქმედებას წინ ეღობება მთელი პროგრესული კაცობრიობა. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა დღითიდღე ფართოვდება და იზრდება. აგრესორთა გეგმები განწირულია ჩასაფშვნავად, რადგან მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯი, რადგან ამ ბრძოლას აღაფრთოვანებს და წარმართავს ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ყოველდღიურად სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას, სწავლობენ სამამულო ომის მდიდარ გამოცდილებას, მტკიცედ დგანან მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების სახელოვან პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

დიდება საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს დიდ სტალინს!

## ბრძანება
### სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა
№ 47

1952 წლის 9 მაისი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!
ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

შვიდი წლის წინათ საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის, ჩვენი ბრძენი ბელადისა და დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად დამთავრა დიდი სამამულო ომი და სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელ დამპყრობლებზე, რომელთაც ხელყვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, და გადაარჩინეს ევროპის ხალხები ფაშისტური მონობის საშინელებისაგან.

მივესალმები და მივულოცავ საბჭოთა არმიის მთელ პირად შემადგენლობას გამარჯვების დღეს!

**ვბრძანებ:**

დღეს, 9 მაისს გამარჯვების დღის აღსანიშნავად ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცდათი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის სახელოვან არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

**სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი**
**ა. ვასილევსკი**

## ბრძანება
### სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა
№ 90

1952 წლის 9 მაისი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!
ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს სრულდება შვიდი წელი, რაც ძლევამოსილად დამთავრდა დიდი სამამულო ომი გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სახელოვანი კომუნისტური პარტიის, ჩვენი ბრძენი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს გერმანულ იმპერიალიზმზე, დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს ევროპის ხალხები ფაშისტური მონობისაგან.

მოგესალმებით და მოგილოცავთ ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების მეშვიდე წლისთავს.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობა..

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის ბრძენ პარტიას — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადსა და გენიალურ მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

**სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი**
**ვიცე-ადმირალი ნ. კუზნეცოვი**

# საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია

★

## სახალხო სესხი

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 5 მაისის დადგენილებას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში სესხზე ხელმოწერისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მდნობელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ფერაძემ განაცხადა:

— საბჭოთა წყობილებამ შეგვიქმნა შეძლებული და ბედნიერი ცხოვრება. ახალი სესხი მოხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაჩქარებას, ჩვენი ხალხის ბედნიერებას. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს და პირობას ვიძლევი სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცე ასობით ტონა ფეროშენადნობი.

ასევე ერთსულოვნად მოაწერეს ხელი და ახალი ვალდებულებები იკისრეს მდნობელებმა ი. გიორგაძემ, ს. კიკნაძემ, ი. შათირიშვილმა და სხვებმა.

ახალი სესხი ფართოდ ვრცელდება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შორის. სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა აფრასიონ თუთბერიძემ მიტინგზე თქვა:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ყოველწლიურად ვაძლევთ სესხად სამშობლოს ჩვენს შრომითს დანაზოგს. ხელს ვაწერ ახალ სესხზე და მთელი თანხა ნაღდად შემაქვს. ბედნიერ ბელადს, დიდ სტალინს, ბრძენ ბელადს, ბრძენ ბელადს, ბრძენ ბელადს — ასეთ ბელადს ვაძლევ ჩემ ფულს, ჩემ ფულს, ჩემ ფულს.

ეს ფული ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას.

ეს ფული ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას.

ეს ფული ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას.

ეს ფული ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას, ეხმარება ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას.

ახალ სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში. სესხზე ხელს აწერს პოეტი გ. ლეონიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

## კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა დასაჩქარებლად

**ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). ახალი სახელმწიფო სესხი უდიდესი წარმატებით ვრცელდება ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიონის კოლმეურნეთა შორის.

— ახალი სესხის წარმატებით გავრცელება დაეჩქარებს კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა განხორციელებას. ამიტომ სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხზე და მთელი თანხა ნაღდად შემაქვს, — განაცხადა კოლმეურნეობა „იმედის“ წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვლადიმერ გელაშვილმა.

სოფელ ღვერკის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. კვინიკაძემ თქვა:

— საკოლმეურნეო შრომამ შეძლებული და კულტურული ცხოვრება დაგვიმკვიდრა. ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის სამშობლოს სიხარულით ვაძლევ სესხად ჩემს შრომითს დანაზოგს. მის მაგალითს მიბაძეს კოლმეურნეობის სხვა წევრებმაც. 6 მაისს საღამოსათვის კოლმეურნეობის ყველა წევრმა ხელი მოაწერა ახალ სესხზე და მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

ახალი სესხი დიდი წარმატებით ვრცელდება სოფელ ბორითის სტალინის სახელობის, ვარძიის ეროშილოვის სახელობის, ვახანის მოლოტოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

## საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის

**ბორჯომი.** (საკ. კორ.). ბორჯომის რაიონის საწარმო-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში პატრიოტული აღმავლობით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას. სოფელ ყვიბისის კოლმეურნეთა მიტინგზე მთავრობის დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ კოლმეურნეებს გააცნო სკოლის დირექტორმა ამხ. გ. ბლიაძემ. სესხის მნიშვნელობაზე ილაპარაკა გ. კურტანიძემ.

— საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, — თქვა მან, — ჩვენი მთავრობა ათეულ და ასეულ მილიარდობით მანეთს ახმარს სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატური შემცირება, რაც ჩვენში ყოველწლიურად ხორციელდება. პარტიისა და მთავრობის ამ მზრუნველობას ვუპასუხოთ ჩვენი შრომითი დანაზოგის სახელმწიფოსათვის სესხად მიცემით.

ყვიბისელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი სესხს და ბევრმა მათგანმა ობლიგაციების ღირებულება იქვე გაანაღდა.

პატრიოტული აღმავლობით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა სოფელ ჭობისხევის, საწირის, დვირის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, ბორჯომის შუშის და მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხნებში, წისქვილკომბინატში, სანატორიუმებსა და ღასასვენებელ სახლებში.

★

## რკინიგზელთა წვლილი

**ხაშური.** (საკ. კორ.). ხაშურის საელმავლო დეპოში ახალი სესხის გამოშვებასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე უფროსმა ტემანქანემ ალექსანდრე მანჯავიძემ თქვა:

— ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხზე და ვკისრულობ მაისს გეგმა ათი დღით ვადაზე ადრე შევასრულო. ახალ სესხზე ხალისით მოაწერეს ხელი აგრეთვე საელმავლო დეპოს ოსტატებმა გიორგი მაჩხანელმა და ივანე ქურდაძემ, ინჟინერმა ვასილ ნემსაძემ, ზეინკალმა ვახტანგ თათანაშვილმა და სხვებმა.

6 მაისს დილის 10 საათისათვის საელმავლო დეპოში ახალ სესხზე ხელის მოწერა დამთავრდა. ამავე დროისათვის სესხზე ხელის მოწერა დამთავრდა აგრეთვე საორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში და რკინიგზის კვანძის სხვა საწარმოებში.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელის მოწერა სოფლად. ზემო ოსიაურის კოლმეურნეობაში 6 მაისს ახალ სესხზე ხელის მოწერა 2 საათში დამთავრდა. კოლმეურნეებმა ხელისმოწერისთანავე გაანაღდეს ობლიგაციების ღირებულება.

ახალი სესხი წარმატებით ვრცელდება სოფელ ტეზრის, ნაბახტევის, ჭალისუბნის და სხვა კოლმეურნეობებში.

## სამშობლოს ძლიერებისათვის

**ქარელი.** (საკ. კორ.). რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგები. კოლმეურნეებმა, მუშა-მოსამსახურეებმა პატრიოტულ სიტყვებში გამოხატეს თავიანთი მზადყოფნა ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხს და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის დიადი მშენებლობების განხორციელებაში, ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში.

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ელენე აბაშიშვილმა განაცხადა:

— ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ საბჭოთა სახელმწიფო სესხები ყოველთვის ხალხის კეთილდღეობას, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის უზრუნველყოფას ხმარდება. ჩვენი მოვალეობაა სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით გავამართლოთ ჩვენი ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი. ამიტომ სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს.

კოლმეურნეობაში ახალ სესხზე ხელმოწერა პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა.

ასევე ერთსულოვნად მოაწერეს სესხს ხელი სოფელ დვანის, დირბის, ელბაქიანთკარის და სხვა კოლმეურნეობებში, აგარის შაქრის ქარხანაში და რაიონის დაწესებულებებში. 6 მაისს საღამოს რაიონში ახალ სესხზე ხელმოწერა ძირითადად დამთავრდა.

## ღუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მაგყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ღუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. ბექაური და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბურდული იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 2 მაისისათვის 103 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა.**

**რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ რამდენიმე ასეული ცენტნერი მატყლი.**

## მაღალი პოლიტიკური აქტივობით

**კასპი.** (საკ. კორ.). საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მაღალი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა. ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხზე.

სესხზე ხალისით აწერენ ხელს მეტეხის, ქვემო ჭალის, სამთავისის, ლამისყანის, ყარაღაჯის, ოკამის და სხვა კოლმეურნეობებში. იგოეთის კოლმეურნეობის წევრებმა დიდ თანხაზე მოაწერეს ხელი და ობლიგაციების მთელი ღირებულება ნაღდად შეიტანეს.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

# საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება

★

ნ. ხლებნიკოვი

საბჭოთა კავშირის გმირი, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი

★

ჩვენი სამშობლო დღეს აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების წლისთავს, გამარჯვებისა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დიდ სამამულო ომში გმირმა საბჭოთა ხალხმა დაიცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჰიტლერელ დამრბევთაგან იხსნა ევროპის ცივილიზაცია.

მეორე მსოფლიო ომი, როგორც ცნობილია, მომზადებული იყო მსოფლიო რეაქციის გაერთიანებული ღონისძიებებით. მის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ეწეოდნენ ფაშისტური გერმანიისათვის ყოველგვარი დახმარების აშკარა პოლიტიკას და დიდ იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ ჰიტლერელები თავიანთ დარტყმას მიმართავდნენ აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1941 წლის 22 ივნისს თავით ფეხამდე შეიარაღებულ ფაშისტთა უზარმაზარი არმია, რომელსაც ჰქონდა ტანკებისა და თვითმფრინავების მხრივ დიდი რაოდენობრივი უპირატესობა, თანაც თანამედროვე ომის წარმოების თითქმის ორი წლის გამოცდილება, ვერაგულად შემოიჭრა ჩვენი სამშობლოს ფარგლებში. ხოლო 5 დღის შემდეგ ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“, იუწყებოდა რა ჰიტლერელ დამპყრობთა პირველ დროებითს წარმატებებს, სიხარულით გულაფანცქალებული წერდა: „წითლების გადასარჩენად განადგურებისაგან, რომელიც მათ უახლოეს მომავალში მოელით, საჭიროა ბიბლიის სასწაულების მსგავსი სასწაული“.

იმპერიალისტები სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, უკლებლივ აღდგა სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ამხანაგმა სტალინმა თავის 1941 წლის 3 ივლისის სიტყვაში, ცხადყო რა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის დიდი განმათავისუფლებელი მნიშვნელობა, მოუწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს აღმოეფხვრა საშიშროება, რომელიც სამშობლოს დაემუქრა, და გაენადგურებინა თავაწყვეტილი მტერი.

„ფაშისტურ გერმანიასთან ომი, — აღნიშნა დიდმა ბელადმა, — ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელთა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ“.

მთელი საბჭოთა ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ზურგში და ფრონტზე სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები გვიჩვენებდნენ მამაცობის, შრომითი ენთუზიაზმის სასწაულებს.

ისარგებლა რა ომის დასაწყისში უეცარი თავდასხმის დროებითი უპირატესობით, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის რიცხობრივი სიჭარბით, მტერი მოისწრაფოდა ჩვენი სამშობლოს გულის — მოსკოვისაკენ, ლენინგრადისაკენ, კიევისაკენ, დონბასისაკენ. მაგრამ იგი წააწყდა განსაკუთრებით მტკიცე წინააღმდეგობას. საბჭოთა მეომრები ეწეოდნენ აქტიურ თავდაცვას და სპობდნენ ფაშისტთა ურდოების ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ამავე დროს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები განაგრძობდნენ თავიანთ გამცემლურ პოლიტიკას და იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი მალე იქნებოდა განადგურებული.

„რუსეთი განწირულია, და ამერიკა ინგლისთან ერთად უძლური არიან თავიდან ააშორონ მას სწრაფი დაშლა ნაცისტური ბლიცკრიგის დარტყმით“, — წერდა მაშინ ჰერსტის გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენ“. მაშინდელი სენატორი, ხოლო ახლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი აცხადებდა: „თუ ჩვენ დავინახავთ, რომ იგებს გერმანია, ჩვენ რუსეთს უნდა დავეხმაროთ, ხოლო თუ რუსეთი მოიგებს, მაშინ გერმანიას უნდა დავეხმაროთ. და, ამრიგად, დე რაც შეიძლება მეტად ხოცონ ერთმანეთი“.

მაგრამ კაცთმოძულეთა ეს „წინასწარმეტყველება“ და ნატვრა უსაფუძვლო აღმოჩნდა.

დღითიდღე ინიციატივა სულ უფრო გადმოდიოდა საბჭოთა არმიის ხელში. 1941 წლის დამლევს მტერს გამანადგურებელი დარტყმები ვაგემეთ ტიხვინთან, დონის როსტოვთან, ყირიმში. მოსკოვთან კონტრშეტევაში ჩვენმა მამაცმა ჯარებმა სამუდამოდ დაასამარეს ლეგენდა ჰიტლერული ურდოების უძლეველობის შესახებ, ჰიტლერული ქვბული სტრატეგიის უცოდველობის შესახებ.

მოსკოვთან გერმანელთა განადგურების გენიალური სტალინური გეგმა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებაში შეტანილი უძვირფასესი წვლილი გახდა. ამხანაგი სტალინი, აჯამებდა რა ამ ისტორიული ბრძოლის შედეგებს, წერდა: „უეცრობისა და მოულოდნელობის მომენტი, როგორც გერმანელთა ფაშისტური ჯარების რეზერვი, სავსებით ამოიწურა. ამით ლიკვიდირებულ იქნა ის უთანასწორობა ომის პირობებში, რაც გერმანელ ფაშისტთა თავდასხმის უეცრობით იყო შექმნილი. ახლა ომის ბედს გადაწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი“.

საბჭოთა მეომრებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს გრანდიოზულ ბრძოლაში სტალინგრადთან, სადაც გარშემორტყმულ და ლიკვიდირებულ იქნა ფაშისტთა რჩეული ჯარების დაჯგუფება 330 ათასი კაცის რაოდენობით.

მაგრამ ამის შემდეგაც ჰიტლერელები რევანშის იმედს არ კარგავდნენ. ჰიტლერელები სარგებლობდნენ იმით, რომ ევროპაში არ არსებობდა მეორე ფრონტი, იყენებდნენ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების სავსებით გარკვეულ პოლიტიკას — გაეჭიანურებინათ მეორე ფრონტის გახსნა. ჰიტლერელებმა კურსკთან თავი მოუყარეს უდიდეს ძალებს და 1943 წელს ერთხელ კიდევ სცადეს დიდი შემოტევა. მაგრამ ამჯერადაც, მიუხედავად დიდძალი ახალი ტექნიკისა — „ვეფხვების“, „ავაზების“, „ფერდინანდებისა“, ისინი კვლავ სამარცხვინოდ დამარცხდნენ. საბჭოთა არმიამ რამდენიმე დღის თავდაცვითი ბრძოლებით შემუსრა მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, კონტრშეტევაზე გადავიდა და შორს უკუაგდო ფაშისტები დასავლეთისაკენ.

„თუ სტალინგრადთან ბრძოლა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“.

1943 წელი დიდი სამამულო ომის გარდატეხის წელი გახდა. საბჭოთა მიწა-წყალზე უდიდეს ბრძოლებში დამარცხებული გერმანელ ფაშისტთა არმია იძულებული გახდა გადასულიყო გაჭიანურებულ ომზე და ცდილობდა საბჭოთა მამაცი შეიარაღებული ძალების შეტევა შეეჩერებინა მრავალ თავდაცვითს ზღუდეზე. ფაშისტთა სარდლობის თავდაცვითი სტრატეგია ისეთივე ფუსფური აღმოჩნდა, როგორც შეტევითი სტრატეგია.

1944 წელს ჩვენმა ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ უზარმაზარ ფრონტზე ბალტიკიდან შავ ზღვამდე თანმიმდევრულად და ერთდროულად აგებეს ჰიტლერელებს ათი სტალინური გამანადგურებელი დარტყმა. მტრის ყველა თავდაცვითი ზღუდე გარღვეულ იქნა, მტერი დამარცხდა და ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განიდევნა.

მარტო ამ პერიოდში, 1944 წელს, როცა უკვე სავსებით ცხადი გახდა, რომ ჰიტლერელთა არმია მიყენებული ზარალის შემდეგ წელში ვეღარ გაიმართებოდა და რომ მას გარდუვალი განადგურება და კაპიტულაცია მოელოდა, როგორც იქნა, გაიხსნა მეორე ფრონტი დასავლეთში. მაგრამ ამის შემდეგაც ამერიკელები და ინგლისელები სრულიად არ ცდილობდნენ ეწარმოებინათ აქტიური მოქმედება. პირიქით, ჩვენს ჯარებს უნდა ეხსნათ ინგლისელ-ამერიკელი „მეომრები“, რომლებიც გერმანელებმა მოიმწყვდიეს არდენში 1944 წლის დეკემბერში. მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მამაცმა საბჭოთა მეომრებმა 1945 წლის იანვარში მთელ ფრონტზე შეტევა დაიწყეს, ამერიკა-ინგლისის ჯარები არდენში დაღუპვას გადაურჩნენ.

1945 წელი ომის დამამთავრებელი წელი იყო. მთელი რიგი დიდი ოპერაციების შედეგად სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა მთლიანად გაანადგურეს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს ბერლინში და ჰიტლერული გერმანია აიძულეს კაპიტულაცია მოეხდინა.

ომის მსვლელობაში, ახორციელებდნენ რა თავიანთ დიად განმათავისუფლებელ მისიას, საბჭოთა ჯარებმა ფაშისტური მონობისაგან გაათავისუფლეს პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ალბანეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების ხალხები.

მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ, რაც მოიპოვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც გაანადგურეს იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიებს შორის უძლიერესი — გერმანელ ფაშისტთა არმია, ხოლო შემდეგ იმპერიალისტური იაპონია აიძულეს კაპიტულაცია მოეხდინა, მთელ მსოფლიოს დაანახვა ჩვენი სახელმწიფოს მონოლითური სიმტკიცე და ძლიერება. ეს იყო მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვება კაპიტალისტურ სისტემაზე, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფებრივი წყობილების გამარჯვება, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გამარჯვება. ეს იყო ამხანაგ სტალინის მხედართმთავრული გენიის გამარჯვება, სტალინური სამხედრო მეცნიერების უპირატესობის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების უპირატესობის ბრწყინვალე დემონსტრაცია.

მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი იყო ფრონტზე მებრძოლთა და ზურგში მშრომელთა უჭკნობი გმირობის წყარო. ბოლშევიკურმა პარტიამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ მიმართა ჩვენი ადამიანების ღონისძიებანი, აღაფრთოვანა ისინი თავდადებული ბრძოლისათვის სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

გაანადგურა რა მტერი, ჩვენი ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ჰიტლერელი ოკუპანტების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენას. ლენინ-სტალინის პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა მოკლე ვადაში სხვის დაუხმარებლად არა მარტო მოიშუშეს ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები, არამედ დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასახა. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შესრულდა. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა, ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე შენდება გრანდიოზული ჰიდროტექნიკური საგებობანი—კომუნიზმის მშენებლობანი, რომელთა ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება. განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. იფურჩქნება ჩვენი ქვეყნის მეცნიერება და კულტურა.

ჰიტლერულ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად კაპიტალისტურმა სისტემამ უდიდესი ზარალი განიცადა. ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მშრომელებმა დაამხეს ანტიხალხური, ბურჟუაზიულ-მემამულეური წყობილება, დაამყარეს სახალხო დემოკრატიის რეჟიმი და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით წარმატებით მიდიან სოციალიზმის მშენებლობის გზით. ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელმაც შექმნა თავისი სახალხო რესპუბლიკა. წარმოიშვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. გერმანიის მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტი გახდა ევროპის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის გარშემო მჭიდროდ დაირაზმა მშვიდობისა და დემოკრატიის მზარდი ბანაკი, რომელიც ერთიანან, უძლეველ, სულ უფრო მზარდ ძალას წარმოადგენს. 800 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს მშვიდობის მომბრძოლი ორგანიზებული ფრონტი.

მაშინ როცა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი საამურ, ნათელ ცხოვრებას აშენებენ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ეკონომიკის განუხრელი მოშლის, ხალხის მასების გაღატაკების პროცესი მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი კლასობრივი სიძულვილით დაბრმავებული ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ახალი ომის გაჩაღებით ცდილობენ თავი დააღწიონ კაპიტალიზმის გადაუჭრელ წინააღმდეგობებს. აგრესორები უგულებელყოფენ მეორე მსოფლიო ომის საგულისხმო გაკვეთილებს. მთელ თავის ეკონომიკასა და პოლიტიკას ისინი უმორჩილებენ ახალი მსოფლიო სისხლისღვრის გაჩაღების დანაშაულებრივ მიზნებს, აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს იმ ვარაუდით, რომ „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენონ უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის მარშალიზებული სახელმწიფოების ადამიანთა რესურსები.

ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა სისხლისმღვრელი ომი გააჩაღეს თავისუფალი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ახლა ისინი, უხეშად არღვევენ რა საერთაშორისო შეთანხმებებს, ადამიანთა მასობრივი ელეტის ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს იყენებენ კორეაში. ომის გამჩაღებლები აღვივებენ ატომურ შანტაჟს, უდიდეს სახსრებს ხარჯავენ შეიარაღებისათვის.

მაგრამ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებმა იციან, რომ ოკუპანტისგალმელ კაცთმოძულეთა გეგმები გარდუვალად ჩაიფუშება. მთელ პროგრესულ კაცობრიობას ახსოვს ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯი—ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი—ყველა პატიოსან ადამიანს მიაჩნია იმ ძალად, რომელსაც შეუძლია წინააღუდგეს აგრესორების ხრიკებს.

„რა თქმა უნდა, აგრესორებს სურთ, — ამბობს ამხანაგი სტალინი,— რომ საბჭოთა კავშირი უარაღო იყოს მათი თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამის თანახმა როდია და ფიქრობს, რომ აგრესორს სავსებით მომზადებული უნდა დახვდეს“.

უჭკნობი სახელი მოიხვეჭა რა ჰიტლერელ დამპყრობლებზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით, საბჭოთა არმიამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი საიმედოდ დგას საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე, ერთგულად ემსახურება თავის დიდ ხალხს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამცველია.

# მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს

დღეს 7 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში და კაცობრიობა იხსნა ფაშისტთა მონობისაგან.

ჩვენს ქვეყანაში ომისშემდგომი წლები გრანდიოზულ წარმატებათა, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების, გიგანტური არხებისა და ახალი სოციალისტური ქალაქების მშენებლობის სასახელო პერიოდია, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ცხოველმყოფელ ძალას.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირმშოა ქალაქი რუსთავიც. მე ვამაყობ, რომ მშენებლობის დაწყების დღიდან ამ ქალაქში ვმუშაობ. სამშენებლო სამმართველოს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტში მოწინავე ადგილი უჭირავს. ჩვენს თვალწინ იზრდება და მშვენიერდება მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქი, თანდათან ემატება ლამაზი საცხოვრებელი კვარტალები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, ფართო ქუჩები.

დიდი სამამულო ომის დროს მონაწილეობა მივიღე რევოლუციის აკვნის — ლენინგრადის დაცვაში, ბელორუსიის განთავისუფლებაში, პოლონეთისა და გერმანიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქალაქების, მათ შორის ბერლინის აღებაში. მდინარე ოდერის დადალახვაში მონაწილეობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მომენიჭა.

სამამულო ომის ოაწყებამდე თეთრი ზღვის პირას ერთ-ერთი ქალაქის მშენებლობაში ვმონაწილეობდი. დამთავრდა ომი და კვლავ მშენებლობას დავუბრუნდი ახალ სოციალისტურ ქალაქ რუსთავში.

საბჭოთა ადამიანებს გვიყვარს მშვიდობა, მშვიდობიანი შრომა. არავის არ მივცემთ უფლებას ხელი შეგვიშალოს ამ შრომაში. მშვიდობის მომხრეთა ძალები უფრო ძლიერია ომის გამჩაღებელთა ძალებზე. მშვიდობა გაიმარჯვებს.

კ. უკლება

საბჭოთა კავშირის გმირი

# სტახანოვური შრომით განვამტკიცებთ სამშობლოს ძლიერებას

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა შვილებთან ერთად კიბრძოდი ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბრძოლით გავიარე ჩრდილოეთი კავკასია, დონბასი, დასავლეთი უკრაინა, პოლონეთი. ჩემთვის დაუვიწყარია 1945 წლის 9 მაისი, ამ დღეს გამარჯვება ვიზეიმე ბერლინში.

ომგადახდილი კვლავ მშობლიურ დაზგას დავუბრუნდი. კარგად მესმის ჩემი ვალდებულება სამშობლოსა და ხალხის წინაშე, ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ვანაღდებ. ამით ჩემი მუშური წვლილი შემაქვს საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში. ჩვენთან, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში, ბევრია ომგადახდილი მეომარი. ახლა ისინი სტახანოვური შრომით განამტკიცებენ მშვიდობას.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ცდილობენ კვლავ თავს მოახვიონ კაცობრიობას ახალი სისხლისმღვრელი ომი. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან მშვიდობის დიდი მედროშეა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ვ. სუხიშვილი

სტახანოველი ზეინკალი

# ყოფილ ფრონტელთა სტახანოვური საქმეები

**ტყიბული.** (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში სამამულო ომის მრავალი მონაწილე მუშაობს. ისინი მეტი ქვანახშირისათვის საუკეთესო მებრძოლები არიან. დიდი სახელით სარგებლობს ყოფილი მეზღვაური, სევასტოპოლის დაცვის მონაწილე, ამჟამად ქვანახშირის მონგრევის ოსტატი ამბროსი ბაკურაძე. მნგრეველთა ბრიგადა, სადაც ამხ. ბაკურაძე მუშაობს, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიურ ნორმებს.

გამარჯვების დღეს — 9 მაისს სასახელო მაჩვენებლებით ეგებება ყოფილი ფრონტელი ვლადიმერ სამანიშვილი, რომელმაც 4 თვეში ქვანახშირის ჩატვირთვის 6 თვის ნორმა შეასრულა. ასევე სტახანოვურად შრომობენ სამამულო ომის მონაწილენი მებიგე პარმენ კუბლაშვილი, მასალის მზიდავები გიორგი ბაკურაძე, ერისტო კირკიტაძე, ვასილ დუნაევი და სხვები.

# ფილმი დაუვიწყარი 1919 წლის შესახებ

(საუბარი სსრ კავშირის სახალხო არტისტ ბ. ბაბოჩკინთან ფილმ „დაუვიწყარი 1919 წლის“ დამდგმელთან)

დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით მუშაობდა ჩვენი კოლექტივი, რათა შეექმნა კინოსურათი „დაუვიწყარი 1919 წელი“ ვ. ს. ვიშნევსკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. საბჭოთა ადამიანების უდიდესი სიყვარული მოიპოვა ამ შესანიშნავმა პიესამ, რომელიც მოგვითხრობს მრისხანე 1919 წელს ჩვენი ხალხის უკვდავი გმირული საქმეების შესახებ.

ჩვენ, როგორც მხატვრებს, არ გვსურდა გაგვემეორებინა ეკრანზე ამ დიდებული თემის შემოქმედებითი გადაჭრა, რომელიც გამოყენებული იყო თეატრში. კინო თავისი განუსაზღვრელი შესაძლებლობით მოითხოვდა პიესის მოქმედების ჩარჩოების გაფართოებას, მოვლენათა უფრო ფართოდ ასახვას.

1950 წლის გაზაფხულზე გადამღები ჯგუფი ლენინგრადს გაემგზავრა მასალის შესასწავლად. ჩვენ ვინახულეთ რევოლუციის ქალაქისათვის დიდ ბრძოლასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები. ჩვენ თითქოს გადავედით იმ წლების ატმოსფეროში და კვლავ გავიარეთ ის გზები, რომლებითაც გამარჯვებისაკენ მიჰყავდა გმირი პროლეტარიატი ამხანაგ სტალინს, რომელიც ხელმძღვანელობდა ფრთელი პიტერის თავდაცვას. ვეწვიეთ სმოლნს, კრონშტადტის ფორტებს — „კრასნაია გორკას“ და „სერაია ლოშადს“, სადაც 1919 წელს გაფთრებული ბრძოლები წარმოებდა მეამბოხეთა წინააღმდეგ; დავთვალიერეთ ძველი საბრძოლო გემები, მაკაროვის ყოფილი ადგილი, ოლანდიაუმში — ისტორიული თათბირის ადგილი, სადაც ამხანაგმა სტალინმა დასახა თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების ურდოების განადგურების გეგმა. ვს. ვიშნევსკი, რომელიც 1919 წელს ბალტიელი მეტყვიამფრქვევე იყო, გვატარებდა ღირსსახსოვარ ადგილებში და გატაცებით იგონებდა წარსულს. მის მკაფიო ნაამბობში თითქოს ცოცხლდებოდა იმ წლების ამბები.

ამრიგად ის, რაც ჩვენ წინათ ისტორიული დოკუმენტებით ვიცოდით, ახლა ჩვენს წინაშე მთელი სისრულით ისახებოდა. იხატებოდა ამხანაგ სტალინის გენიალურ სტრატეგიულ შთანაფიქრთა დიდებული სურათები. ამხანაგმა სტალინმა მაშინ პიტერის პროლეტარიატი დარაზმა მტრის უკუსაგდებად.

ფილმის გადაღება ძირითადად ისტორიულ ადგილებში წარმოებდა. ჩვენ ვცდილობდით უფრო სრულად გვეჩვენებინა ბალტიელ მეზღვაურთა და პიტერის მუშათა ლეგენდარული საგმირო საქმეები. ბალტიკის ფართო სივრცეებზე ვიღებდით ბატალურ სცენებს, რომლებშიც გაცოცხლებულ იქნა ინგლისელ ინტერვენტთა ესკადრისა და აჯანყებული ფორტების წინააღმდეგ რევოლუციური გემების ბრძოლის ეპიზოდები. თითქმის ყველა ეპიზოდის გადაღება, რომელიც მოგვითხრობს მხედართმთავარ ამხანაგ სტალინზე, წარმოებდა იმ ადგილებში, საიდანაც ისტორიულ დღეებში გენერალ როძიანკოს და მის უცხოელ შთამგონებელთა ბანდების განადგურებას ხელმძღვანელობდა დიდი ბელადი.

პასუხსაგები ამოცანა იდგა მსახიობ მ. გელოვანის წინაშე, რომელიც ამ ფილმშიც ამხანაგ სტალინის სახეს ქმნიდა. ამ მსახიობს არაერთხელ შეუქმნია საყვარელი ბელადის სახე. მისმა მდიდარმა შემოქმედებითმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო მას ეპოვნა ახალი მკაფიო ფერები იმ ისტორიული წლების ამხანაგ სტალინის გარეგანი და შინაგანი სახის წარმოსახვისათვის.

ბევრი იმუშავეს მსახიობებმა ბ. ანდრეევმა, მ. კოვალიოვამ და სხვებმა, რომლებმაც ფილმის პერსონაჟებში აღადგინეს ხალხის გმირი წარმომადგენლები — რევოლუციური მეზღვაურები, პიტერის პროლეტარები, რომლებმაც თავიანთი სისხლით დაიცვეს ახალგაზრდა რესპუბლიკა.

ფილმში ჩვენ საჭიროდ ვცანით გვეჩვენებინა იმპერიალიზმის ძალები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეხშოთ რევოლუცია. კინოსურათში ნაჩვენებია ვერსალის კონფერენცია, რომელზეც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის სულისჩამდგმელნი — ყოველგვარი ჩერჩილები, კლემანსოები და ვილსონები ცდილობდნენ გადაეჭრათ რუსი ხალხის ბედი მისი მონაწილეობის გარეშე.

გულწრფელი ზრუნვა იმისათვის, რომ ფილმს რაც შეიძლება მეტი სისრულით ეჩვენებინა ჩვენი მაყურებლისათვის დაუვიწყარი 1919 წლის დიადი მოვლენები, გამოვლინდა გადამღები ჯგუფის ყველა წევრის გულმოდგინე შრომით.

ფილმი გამოვიდა ეკრანებზე. ჩვენ, მისი შემქმნელები, მოელოდნენ მოველით საბჭოთა ხალხის აზრს. — თუ ფილმი მაყურებელს მოეწონა, — ეს საუკეთესო ჯილდო იქნება ყველასათვის, ვინც თავისი შემოქმედებითი შრომით წვლილი შეიტანა კინოსურათში „დაუვიწყარი 1919 წელი“. (საკ.).

# ვოლგა-დონის მეცამეტე რაბში გაიარეს პირველმა გემებმა

**ილიიჩკა** (სტალინგრადის ოლქი), 6 მაისი. (საკ.). ვოლგა-დონის არხის მეცამეტე რაბზე ნათურები აინთო. მართვის გუმბათისებრ კოშკებზე, პარაპეტებზე, მასივურ ჰიშკრებზე ალმები ფრიალებს. შესასვლელი ტრიუმფალური თაღის ბურჯებს შუა, რომლებსაც ხარაჩოები არტყია, დიდი ტრანსპარანტია წარწერით: „მშვიდობა თქვენს მობრძანებას!“. პირველი გემების ეკიპაჟებს სთხოვენ ციმლიანსკაიას წყალსაცავიდან არხის რაბით გადმოვიდნენ კარპოვკის წყალსაცავში.

მაგრამ სანამ დონის კიბეზე გემების მიმოსვლა დაიწყებოდა, საჭირო იყო წყლით აევსოთ რაბის კამერა და რაბის ქვემო მისასვლელი, შემდეგ დაეშალათ ზღუდარი, რომელიც დონის წყალს აკავებს არხში. მემონტაჟეებმა გააღეს საერემონტო ჰიშკრების სარკმლები და კარპოვკის წყალსაცავიდან წყალი გადაეშვა რაბის კამერაში — აქედან წყალსადენი გალერიებით დაიწყო რაბის ქვემო მისასვლელის ავსება. სამი საათის შემდეგ წყლის დონე რაბში გაუთანაბრდა არხის წყლის დონეს. № 307 მიწისმწოვი მანქანის რაზმი შეუდგა მიწის ზღუდარის დაშლას.

პირველი ორი მიწისმწოვი მანქანა მეცამეტე რაბის კამერით გადავიდა კარპოვკის წყალსაცავში და გადმართა მეთორმეტე რაბისაკენ მარინოვკის რაიონის მშენებელთა დასახმარებლად. რიგში დგას № 107 მიწისმწოვი მანქანა, რომლის რაზმმაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიწისმწოვი მანქანის საპროექტო სიმძლავრეს, აიყვანა მისი გამომუშავება საათში ათას კუბურ მეტრ გრუნტამდე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 300 კუბური მეტრისა. სახელგანთქმულმა ეკიპაჟმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს დავალება მეთორმეტე რაბის მისასვლელის დასამუშავებლად.

გემების გაშვების დროს რაბის ყველა მექანიზმი ჩინებულად მუშაობდა.

ამრიგად, ვოლგა-დონის სანაოსნო არხის 20-კილომეტრიან უბანზე დონის მხრიდან დაიწყო გემების მიმოსვლა.

№ 13 რაბი დონიდან ვოლგისაკენ მიმავალი გზის დონის კიბის პირველი საფეხურია. აქ კიდევ წარმოებს მუშაობა. მიმდინარეობს სამართავი კოშკების შელესვა, მთავრდება შესასვლელი ტრიუმფალური თაღის რკინაბეტონის კარკასის უკანასკნელი სექციების აგება.

# რადიოს დღის აღნიშვნა

## საზეიმო სხდომა კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში

საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა რადიოს დღე, რომელიც დაწესდა დიდი რუსი მეცნიერი-ფიზიკოსის ა. ს. პოპოვის გენიალური გამოგონების აღსანიშნავად. 57 წლის წინათ, 1895 წლის 7 მაისს, მეცნიერმა მის მიერ შექმნილი რადიოაპარატის საშუალებით მსოფლიოში პირველად მიიღო ელექტროსიგნალი უმავთულოდ. უქაღალდო და „უმანძილო“ გაზეთი უწოდა რადიოს ვ. ი. ლენინმა.

7 მაისს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ კავშირგაბმულობის მუშაკები, კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეები, რადიომოყვარულნი, მოსკოვის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

რადიოს დღის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ა. პუზინმა.

შემდეგ აკადემიკოსმა ა. ი. ბერგმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რადიოს გამომგონებლის ა. ს. პოპოვის სახელობის ოქროს მედალი 1951 წლისათვის მიენიჭა აკადემიკოს მ. ა. ლეონტოვიჩს.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისაღმი. (საკდესი).

# რადიოს დღისადმი მიძღვნილი სა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# წიგნი ჩვენი დროის სახელოვან გმირებზე

ქართველმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო — „სახელგამმა“ გამოსცა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის პ. პავლენკოს რომანი—„ბედნიერება“, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

„ბედნიერება“ შესანიშნავი პოემაა საბჭოთა ადამიანის სულის სიდიადეზე, ჩვენი მშობლიური პარტიისა და ხალხის ერთიანობაზე. იგი მკითხველს ხიბლავს ცხოველმყოფელი პატრიოტიზმის გრძნობით, მგზნებარე პუბლიცისტური პათოსით, დამაჯერებლად მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანის სულიერ სისპეტაკეზე, მის თავდადებულ შრომაზე, მკითხველში აღძრავს ხალხის საქმისადმი ერთგულების კეთილშობილურ გრძნობას, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას.

არ შეიძლება მკითხველი არ აღელვოს ნაწარმოების მთავარი გმირის პოლკოვნიკ ვოროპაევისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრების მართალმა ამბავმა. მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას შეუძლია ვოროპაევისთანა ადამიანების აღზრდა, ადამიანებისა, რომლებიც არასოდეს არ კარგავენ სიცოცხლის სიყვარულს, ნებისმიერ ძლიერებას და მთელი გატაცებით შრომობენ და იბრძვიან ხალხისათვის, საბჭოთა სამშობლოსათვის.

ავტორს შესანიშნავად აქვს აგებული რომანის სიუჟეტი. წიგნში დიდი მსატვრული ოსტატობით არის მოცემული ვოროპაევის ბედნიერების ძირითადი საფუძველი—ხალხთან კავშირი და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლა.—არა მარტო შეგვნებით, — ამბობს ვოროპაევი, — არამედ მთელი ჩემი სხეულით, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ, რომ მე ხალხი ვარ, რომ მე ხალხში ვარ, რომ მე მისი ხმა ვარ...

ვოროპაევის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა მაღალიდეურობა, სულიერი კეთილშობილება, სურვილი — იყოს იქ, სადაც ყველაზე მეტი სიძნელეა. იგი ბედნიერებას პოულობს მაშინ, როცა მთელ თავის ძალასა და ენერგიას ხალხის საკეთილდღეოდ წარმართავს.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს დიდი სტალინის საუბარი ვოროპაევთან.

„მე მიამბეს თქვენს შესახებ და, ჩემი აზრით, კარგად მოიქეცით, რომ რაიონში მუშაობა ირჩიეთ, — მაშინვე უთხრა სტალინმა, — ჩვენ, საიწუხაროდ, კიდევ ბევრი გვყავს ისეთი ხალხი, რომელთაც მოსკოვში ჩინოვნიკობა ურჩევნიათ პერიფერიებში ხელმძღვანელად ყოფნას“.

დიდ ბელადთან ამ ამაღელვებელმა საუბარმა ვოროპაევში ახალი შემოქმედებითი ცეცხლი აღანთო.

პ. პავლენკომ შესანიშნავი ოსტატობით დაგვიხატა ვოროპაევის თანამებრძოლთა მიმზიდველი პორტრეტები. მკითხველთა ხსოვნაში დიდხანს დარჩებიან ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტი—პროფესორი შიროკოგორევი, ენერგიული მოხუცი ციმბალი, ცოლ-ქმარი პოდნებესკოები, გარეგნულად უხეში, მაგრამ სინამდვილეში გულისხმიერი ვარია ოგარნოვა, კომკავშირელი ანა სტუპინა, სიცოცხლით სავსე გოროდცოვი, ლენა ჟურინა...

სიყვარულით, შესანიშნავი ფერებით აქვს დახატული ავტორს ვოროპაევის სულიერი მეგობრის ალექსანდრა გორევას სახე. გორევა ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ქალია—მამაცი და უშიშარი ბრძოლაში, სპეტაკი და კდემამოსილი პირად ცხოვრებაში.

„ბედნიერება“ ქართულად თარგმნეს ქ. დათიკაშვილმა და ლ. ტიტვინიძემ. წიგნს დართული აქვს ამხ. ნ. აგიაშვილის სტატია პ. პავლენკოს შემოქმედების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანი ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, მაგრამ შეიძლებოდა ამ საქმის უფრო მაღალხარისხოვნად გაკეთება, გამომცემლობა, მთარგმნელები და წიგნის რედაქტორი მინდობილ საქმეს მეტი პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდნენ.

ნაწარმოების რუსული და ქართული ტექსტის შედარების დროს თვალში გეცემათ, რომ მთარგმნელებს თვითნებურად გამოუტოვებიათ დაახლოებით 500 სტრიქონი, რაც 15 გვერდს შეადგენს. თქმა არ უნდა, ამის უფლება მთარგმნელებს არ ჰქონდათ.

მაგალითად, ქართულ ტექსტში სულ არაფერია ნათქვამი სვეტლანა ჩირიკოვაზე, ამოღებულია რამდენიმე სტრიქონი სერდიუკის შესახებ. მთარგმნელებს რატომღაც ამოუღიათ ვოროპაევის შესანიშნავი სიტყვები: „Однажды ночью мы все можем увидеть один и тот же сон и, проснувшись, подумать: до чего велика, до чего крепка и неразделима наша семья, поколение наше!“

გვხვდება შეცდომები, რომლებიც მხოლოდ დაუდევრობით არის გამოწვეული. რუსულ ტექსტში ლაპარაკია ანუშკა სტუპინაზე, მთარგმნელებმა მას რატომღაც ნატაშა დაარქვეს. ასევე დაამახინჯეს გოროდცოვის გვარი და მას გოროდცევი უწოდეს. რუსულ ტექსტში ნათქვამია: „Да кой же чорт кормить в такой час!...“ (ლაპარაკია ცხენებზე). ქართულად კი — „აბა რა დროს ჭამაა ამ გაწამაწიაში“ (გვ. 92). უნდა იყოს — რა დროს ცხენების ჭმეაა...

მთარგმნელები ერთსა და იმავე პიროვნებას ხან გარისს უწოდებენ, ხან ჰარისს. „ვილისი“ ხან ავტომანქანაა, ხან ყველგანმავალი.

„Ну пойдемте в правление“ გადმოქართულებულია — „მაშ სამმართველოში წავიდეთ“. მთარგმნელებს უნდა სცოდნოდათ, რომ აქ ლაპარაკია კოლმეურნეობის გამგეობაზე და არა რაღაც სამმართველოზე.

დიდი რუსი ხალხის გამოჩენილ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნა და პოპულარიზაცია დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საქმეა. გამომცემლობამ კარგი საქმე გააკეთა პ. პავლენკოს „ბედნიერების“ გამოცემით. მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ მას თავიდან აეცილებინა ზოგიერთი შეცდომა და გამოტოვება, რასაც ადგილი აქვს ქართულ თარგმანში.

ა. თომაძე

*) პ. პავლენკო. „ბედნიერება“. სახელგამი, 1951 წ.

## სიახლე მშენებლობებზე

### ჰორიზონტალური შტრაბის დაბეტონების წესი

მანქანა-დანადგარის გასამართავად საჭირო ბეტონის საფუძვლის დაბეტონებისას დიდ სიძნელეს წარმოადგენს სათანადო ზომის ჰორიზონტალური შტრაბის დატოვება ბეტონის მასაში. შტრაბი ეწოდება იმ კონფიგურაციისა და ზომის ცარიელ ადგილს ბეტონის მასაში, რომელიც დამონტაჟების შემდეგ უნდა მოეროგოს დანადგარის სათანადო ნაწილს ბეტონის საფუძველზე დასამაგრებლად ან სხვა გარკვეული დანიშნულების შესასრულებლად.

ორთაჭალჰესის მშენებლობაზე აგრეგატთა საფუძვლების დაბეტონებისას მშენებლებს ბეტონის მასაში განსაკუთრებით მრავლად მოუხდათ ვერტიკალური და ჰორიზონტალური შტრაბების დატოვება. ვერტიკალური შტრაბის გამოყვანა სიძნელეს არ წარმოადგენს, ამ მხრივ მშენებლებს აქვთ გამოცდილება, მაგრამ გაცილებით ძნელი გახდა ჰორიზონტალური შტრაბების კეთება. საშტრაბო ადგილის სოლებით ამოვსებისას სიგრძეზე კონფიგურაციის დაცვა ძნელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა ბეტონის გამკვრივების შემდეგ ამ სოლების გამოღება, ან გამოწვა, რაც დიდი შრომატევადი საქმეა.

ინჟინერმა ირაკლი მღებრიშვილმა ჰორიზონტალური შტრაბების დაბეტონების გაადვილება მოახერხა ფანერის კოლოფების საფუძვლის საშუალებით. მან დურგლებს წინასწარ გააკეთებინა სათანადო კონფიგურაციის ფანერის კოლოფები, ეს კოლოფები სათანადო ადგილას დაატანეს ნედლი ბეტონის მასაში და შემდეგ განაგრძეს ბეტონის ჩასხმა. ფანერის კოლოფს უკეთდება ბიტუმის იზოლაცია, შიგნიდან მას ქვიშით ავსებენ. დაბეტონებისას იზოლაცია სისველისაგან იფარავს ქვიშით სავსე კოლოფს, ხოლო ბეტონის გამკვრივების შემდეგ კოლოფიდან ქვიშის გამოღება ადვილია, ფანერის კოლოფების გამოტეხვა, ან გამოწვაც სიძნელეს არ წარმოადგენს. ასეთმა მეთოდმა მუშაობა დიდად დააჩქარა.

### საწყაური ქსელის გაყვანის დასაჩქარებლად

სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლები ამჟამად საინტერესო ცდას ახდენენ: საქარხნო წესით ამზადებენ სტანდარტულ-ოვალურ, დიდი ზომის ბეტონის ფილებს წყალგამანაწილებელი მცირეგაბარიტიანი არხების მოსაპირკეთებლად. საველე პირობებში მცირე გაბარიტიანი არხების დაბეტონება დიდ სირთულეს წარმოადგენს და დიდ დროსაც მოითხოვს. ამის გამოცდილება წელს მიიღეს მშენებლებმა, როცა საწყავ ქსელთა მშენებლობას ეწეოდნენ სამგორის პირველი ფართობების ასათვისებლად. სირთულეს ქმნის სამუშაოთა გადანტულობა. ბეტონის ხშირად დიდ მანძილზე მიზიდვის საჭიროება.

ფილების დასამზადებლად იყენებენ პემზის ქვიშიან ბეტონს, რათა ამით ეს ფილები გაამსუბუქონ და ადვილად გადასატან-გადმოსატანი გახადონ. უკვე დამზადებულია რამდენიმე ათეული ასეთი ფილა, რომელთა საცდელ ჩაწყობას წყალგამანაწილებელი არხის მოსაპირკეთებლად ახლო ხანში მოახდენენ.

ამ რაციონალური ღონისძიების განხორციელებით მშენებლები დიდად დააჩქარებენ სამუშაოთა შესრულებას, მიაღწევენ მშენებლობის გაიაფებას.

## სანიმუშოდ ჩავაბარეთ ცხვრის საგაზაფხულო პარსვა

უკვე მასობრივად გაჩაღდა ცხვრის საგაზაფხულო პარსვა. პარსვის ორგანიზებულად მოწყობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი მატყლის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ცხვრის პარსვას შარშან ზოგიერთ რაიონში ყურადღება არ ექცეოდა. სახელმწიფოს აბარებდნენ ცუდ, დეფექტიან მატყლს. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა 6,8 პროცენტი დეფექტიანი მატყლი ჩააბარეს, ბოგდანოვკისამ — 7,9. გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 18,8 პროცენტი სრულიად დანავიანებული მატყლი ჩააბარეს, მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა კი 19,8 პროცენტი.

შარშან ნაკლები ყურადღება ექცეოდა მატყლის გამოსავლიანობის გადიდების ისეთი საუკეთესო საშუალების დანერგვას, როგორიც არის ელექტრომექანიკური პარსვა. მთელმა რიგმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და კოლმეურნეობებმა, რომლებსაც ელექტროსაპარსავი მანქანები აქვთ, ვერ შეასრულეს მექანიკური პარსვის გეგმები. ამ მხრივ შეუწყნარებელი უდარდელობა გამოიჩინეს და ეს სამუშაო ჩაფუშეს ქსუისის (დირექტორი ამხ. გოგიჩაიშვილი), წნორის (დირექტორი ამხ. გოძიაშვილი), ნაფარეულის (დირექტორი ამხ. ბელენკი) და სართიჭალის (დირექტორი ამხ. კახაია) მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა. ახალქალაქის მეცხოველეობის სამანქანო სადგურს 9 ელექტროსაპარსავი მანქანა აქვს. გასული წლის საშემოდგომო პარსვაზე გამოყენებული იყო მხოლოდ 4 აგრეგატი.

ბევრ კოლმეურნეობაში ცხვრის ელექტრომექანიკური და ხელით პარსვა ისე მოაწყეს, რომ მოპარსული მატყლი მიწაზე ცვიოდა, რის გამო მატყლი დანაგვიანდა. წელს ეს ნაკლოვანებანი არ უნდა გამეორდეს. საჭიროა ცხვრის პარსვა ყველა კოლმეურნეობაში ისე მოეწყოს, რომ არ დაიკარგოს არც ერთი კილოგრამი მატყლი. ძირშივე უნდა აღიკვეთოს სახელმწიფოსათვის არასტანდარტული მატყლის ჩაბარების მცირეოდენი ცდაც კი. სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

ყოველი საქმის წარმატებას ადამიანები, კადრები წყვეტენ. აუცილებელია გულდასმით შევარჩიოთ კვალიფიციური მპარსავები. მეცხვარეობის თვითეული ფერმა უნდა დავაკომპლექტოთ საკმარ მპარსავებით.

ცხვრის პარსვა ფიცარდაგებულ ან ბრეზენტდაფენილ საპარსავზე უნდა მოეწყოს. ცხვრის ელექტრომექანიკური პარსვა შესამჩნევად ამსუბუქებს მპარსველის შრომას, 3-4-ჯერ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, 150-400 გრამით ზრდის თვითეული ცხვრის ნაპარსი მატყლის გამოსავლიანობას.

საჭიროა მანქანა-ტრაქტორთა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებმა სწრაფად დაამთავრონ ელექტროსაპარსავი აგრეგატების შეკეთება, აგრეგატების უფროსების, მომსახურე პერსონალის, ინსტრუქტორ-ამწყობების, მლესავების და მპარსავების მომზადება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების დირექტორები ვალდებული არიან დროზე გააფორმონ ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან და მიიღონ ქმედითი ზომები ფერმაში პარსვის ადგილების შერჩევისა და მოწყობისათვის. რაისაბჭოს აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ ცხვრის პარსვის კალენდარული გეგმების განსახორციელებლად.

საჭიროა ზოოვეტსპეციალისტების უშუალო მონაწილეობით მეცხვარეობის თვითეულ ფერმაში ზუსტად განისაზღვროს გასაპარსავი ცხვრის რაოდენობა.

თვითეულ კოლმეურნეობაში სპეციალურმა კომისიამ უნდა შეადგინოს აქტი გაპარსული ცხვრის რაოდენობაზე, მიღებული მატყლის წონასა და მის ხარისხობრივ შემადგენლობაზე ცალცალკე ბრიგადების მიხედვით. მთელი მიღებული მატყლი უნდა ჩაბარდეს საწყობს და გაიგზავნოს დამამზადებელ პუნქტებში. შეუწყნარებელია ისეთი ფაქტები, როცა მატყლის შემოსვლის ძირითად საბუთად კოლმეურნეობათა გამგეობები დამამზადებელი პუნქტების ქვითრებს იღებდნენ. კოლმეურნეობის გამგეობაში და ბუხჰალტერიაში მატყლის შემოსვლის ძირითად საბუთად უნდა ინახებოდეს კომისიის მიერ შედგენილი აქტი.

პარსვის ორგანიზებულობა დამოკიდებულია აგრეთვე „ზაგოტჟივსირიოს“ ადგილობრივი დამამზადებელი კანტორების მოქნილ მუშაობაზე. მათ ახლავე უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეობები საკმაო ბარდანებით, შეიძინონ დუქარდები და თავის დროზე გასცენ კუთვნილი ფულადი პრემია მატყლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. საჭიროა „ზაგოტჟივსირიოს“ რესპუბლიკურმა კანტორამ გადასინჯოს მატყლის მიმღებთა და დამხარისხებელთა შემადგენლობა, სასწრაფოდ დაკომპლექტოს მიმღები პუნქტები მაღალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი მუშაკებით.

მძლავრი ტექნიკური ბაზა, ზოოვეტსპეციალისტთა სათანადო კადრები, შეღავათები და წამახალისებელი ღონისძიებანი, რომლებიც დაწესებულია მატყლის ჩაბარების გეგმების განაღდებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ წარმატებით მოვაწყოთ ცხვრის საგაზაფხულო პარსვა და სახელმწიფოს დროზე ჩავაბაროთ მეტი და მაღალხარისხოვანი მატყლი. არ უნდა დავკმაყოფილდეთ მატყლის დამზადების გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებლებით. მატყლის დამზადების გეგმა უნდა შეასრულოს თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ.

დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სწრაფად უნდა გამოასწორონ ამ საქმეში შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ა. კოგბერიძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხვარეობის განყოფილების უფროსი

ჩვენ ვწერეთ

## შეუკეთებელია გზები და ხიდ-ბოგირები

აბაშის რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა სასოფლო გზების კეთილმოწყობას. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია რაიონული ცენტრიდან ონტოფოს, ნორიოს, კვათანის, განთლეგისკარის, სუჯუნის, ეწერის და სხვა სოფლებისაკენ მიმავალი გზები, რომლებიც დიდი ხანია არ შეუკეთებიათ. ამიტომ არის, რომ აღნიშნულ გზებზე წვიმებისაგან თხრილები გაჩნდა, ალაგ-ალაგ ჩამტვრეულია ხიდ-ბოგირები.

ყოველივე ეს აძნელებს როგორც ტრანსპორტის, ისე ქვეითად მოსიარულეთა მიმოსვლას. უფრო მეტიც. თვით დაბა აბაშაში, გეგეჭკორის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის წინ, წვიმიან ამინდში გაუვალი წუმპე დგება. უკეთეს მდგომარეობაში არც ფარანგიშვილის, ნინოშვილის და ბაზრის ქუჩებია.

სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, რაიაღმასკომის საგზაო და კომუნალური მეურნეობის განყოფილებები (გამგეები ხ. ფირცხალავა და ტ. დარასელია) უდარდელობას იჩენენ, არასერიოზულად ეკიდებიან გზების მოვლა-პატრონობას.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ვალია ჯერეროვანი ყურადღება მიაქციონ გზების, ხიდ-ბოგირებისა და ქუჩების კეთილმოწყობას.

ივ. გუნაიძე

## სარეკლამო სტენდები და საგაზეთო ვიტრინები

თბილისში ჯერჯერობით მოუწესრიგებელია აფიშების, განცხადებებისა და სარეკლამო ფურცლების გაკვრა. სპეციალური სარეკლამო სტენდები ქალაქში ცოტაა. აფიშებსა და განცხადებებს უმეტეს შემთხვევაში აკრავენ შენობათა კედლებზე, ფიცრულებზე, რომლებითაც დროებით შემოღობილია სამშენებლო მოედნები და ან ძველისძველ სარეკლამო ნაგებობებზე, რომლებიც აქაიქ შემორჩენილა და აუფერულებს ქუჩების ხედს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქში არც საგაზეთო ვიტრინებია საკმარისი რაოდენობით, ხოლო რაც არის, მათგან მეტი წილი უვარგისია.

ქალაქში სარეკლამო სტენდების აღმართვისა და ყურნალ-გაზეთებისათვის ვიტრინების მოწყობის საკითხი ამას წინათ განიხილა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. თბილისმშენის ხელმძღვანელებს დაეკისრათ უახლოეს დროში უზრუნველყონ სარეკლამო სტენდების საკმაო რაოდენობით დამზადება, მათი კარგი არქიტექტურული გაფორმება და აღმართვა ქალაქის საბჭოს აღმასკომის არქიტექტურული განყოფილების მიერ მითითებულ ადგილებზე. ამასთანავე განზრახულია მნიშვნელოვნად გადიდდეს საგაზეთო ვიტრინების რაოდენობა.

## სამგორის პირველი სოფლის ბიბლიოთეკისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ამას წინათ ბაისრა სამგორის პირველ სოფელში შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსება და საამისოდ მწერლებს შორის შუუდგა ლიტერატურის შეგროვებას.

ჯერჯერობით შეგროვებულია 540 ცალი მხატვრული და პოლიტიკური წიგნი, რომლებიც უკვე გაეგზავნა ბიბლიოთეკას.

# ეროვნული პასუხისმგებლობის დღე!...

★

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის სტატია

★

**ბერლინი,** 7 მაისი. (საკ.ფილი). ადნის სააგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის სტატია სათაურით „განთავისუფლების დღე ეროვნული პასუხისმგებლობის დღეა“.

„თვითეული გერმანელი პატრიოტისათვის, — წერს გროტეოლი, — 8 მაისი არის დიდი საბჭოთა ხალხისადმი უღრმესი მადლიერების დღე. მაგრამ 8 მაისი მოგვაგონებს აგრეთვე ეროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხის წინაშე, მშვიდობისა და დემოკრატიის საერთაშორისო ძალების წინაშე, რომელთაც სათავეში უდგას ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი გენერალისიმუს სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

განთავისუფლების მე-7 წლისთავზე გერმანელ ხალხს ემუქრება მისთვის საბედისწერო გადაწყვეტილებათა მიღება. გერმანელ ხალხს მოელის საფრთხე, რომ უსინდისო გერმანელი პოლიტიკოსები — სამშობლოს მოღალატენი—ხელს მოაწერენ მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“. დაკარგეს რა ეროვნული ღირსების გრძნობა, ისინი იქამდე მიდიან, რომ სურთ დასავლეთი გერმანია ხალხის დაუკითხავად გადააქციონ აგრესიულ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა პროტექტორატად. მათ სურთ აღადგინონ ჩვენს სამშობლოში—დასავლეთ გერმანიაში ხალხისადმი მტრული მილიტარიზმისა და ფაშიზმის რეჟიმი და ახალი ომის ხანძარი გაანთონ ევროპაში.

როცა დღეს ძლევამოსილი საბჭოთა არმიის დაღუპულ გმირთა საფლავების წინაშე იხრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების დროშები, როცა გვირგვინებით და ყვავილებით ვამკობთ მათს საფლავებს, ჩვენ გვრძნობთ ჩვენს მოვალეობას—სამუდამოდ შევინარჩუნოთ მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან, რომლებმაც თავიანთი სისხლი დაღვარეს იმისათვის, რომ ჩვენ ფაშიზმისაგან განვთავისუფლებულიყავით. ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად ვიცხოვროთ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა გერმანიაში თავისი პოლიტიკის მთავარ პრინციპად გაიხადა გერმანელი ხალხის სასიცოცხლო უფლებათა პატივისცემა და აღიარება, არ დაიკისრა ჩვენს ხალხს ფაშიზმის დანაშაული. ეს პატივისცემა და აღიარება გამომდინარეობს პოტსდამის შეთანხმებიდან, რომელსაც ხელს აწერს ი. ბ. სტალინი, და გამოიხატება აგრეთვე გერმანიის პატრიოტული და მშვიდობისმოყვარე ძალების უანგარო და უსაზღვრო მზარდაჭერით ჩვენი სამშობლოს ერთიანობისა და საბჭოთა ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლაში.

ამ მეგობრული პოლიტიკის შემდგომი მკაფიო და მთელი გერმანელი ხალხისათვის დამაჯერებელი დადასტურებაა საბჭოთა მთავრობის 10 მარტისა და 9 აპრილის ნოტები დასავლეთის სახელმწიფოებისადმი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი და გერმანელი ხალხისათვის დასახული მშვიდობიანი გზა ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი და სუვერენული გერმანიის სახელმწიფოს შესაქმნელად ყოველი პუნქტით შეესაბამება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესული დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ეროვნული განთავისუფლებელი ბრძოლის ბურჯს წარმოადგენს, და მიღწეულ იქნა ჩვენი მშენებლობის სასახელო და ყველასთვის აშკარა წარმატებანი. საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება დღითიდღე უკეთესი და უფრო მდიდარი ხდება და სულ უფრო ცხადად ჩანს ხუთწლიანი გეგმის შესრულების ნაყოფი. სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ გერმანელი ხალხისათვის საბჭოთა საქმიო საზოგადოების 66 საწარმოს გადაცემით კვლავ დაამტკიცა, რომ მისი მეგობრული სიტყვები საქმეს არ ეწინააღმდეგება. ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით სსრ კავშირის მთავრობას მისი დახმარების ამ ახალი დადასტურებისათვის.

მაგრამ გერმანიის ერთიანობის მშვიდობიან გზას საფრთხე მოელის. ჩვენი ხალხის არსებობისა და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისათვის საშინელ საფრთხეს შეიცავს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის 1952 წლის 17 აპრილის განცხადებაში მთელ გერმანელ ხალხს განუმარტა თანამედროვე მდგომარეობის სერიოზულობა და მოუწოდა გადამწყვეტი მოქმედებისაკენ.

საქმე ასე რომ გართულდა, ეს ადენაუერის მთავრობის ისტორიული დანაშაულია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ყველა საშუალებას მიმართა, რათა უზრუნველყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელთა ურთიერთგაგება და ამით —გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება. ჩვენს უანგარო წინადადებებს არ ვუკავშირებდით არავითარ ვალდებულებას. ყველა ჩვენი ნაბიჯი და წინადადება, რომელთა მიზანი იყო სრულიად გერმანიის დამფუძნებელი საბჭოს შექმნა, სრულიად გერმანიის თანმიერის მოწვევა, საარჩევნო კანონის შექმნა და საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება, უარყვეს ბონის სახელმწიფოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ამერიკელ იმპერიალისტებზე არიან დამოკიდებულნი და ჩვენი რესპუბლიკის პროგრესული დემოკრატიული წყობილებისადმი სიძულვილით არიან დაბრმავებულნი. ამ უარყოფითს ძალებს დასავლეთში არა ჰყავთ უმრავლესობა და ხალხიც არ აწონებს ეროვნული შერცხვენის მათს პოლიტიკას.

გერმანელი ხალხი ბონის წინააღმდეგია. მას არა სურს ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ატლანტიკის პაქტი, მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულება“ და იმპერიალისტური ომი; მას სურს სრულიად გერმანიის არჩევნები, სრულიად გერმანიის მთავრობა და საზავო ხელშეკრულება. 1951 წელი ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული პასუხისმგებლობის განვითარების წელი იყო. მიმდინარე წლის პირველ თვეებში ეს განვითარება განუხრელად ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ჩვენი მთავრობის აქტიურმა მოღვაწეობამ და სახალხო პალატის მიმართვებმა ჯეროვანი გამოხმაურება ჰპოვა.

ბონი შეუჩერებლად მიდის სახელმწიფო კრიზისისაკენ. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში სულ უფრო ძლიერდება გულისწყრომა, ხოლო ამერიკელების მიერ ნაკარნახევი მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულებით“ უკმაყოფილება, რამაც ბონის მთავრობის კოალიციაშიც კი იჩინა თავი, გვიჩვენებს, რომ ეს სახელმწიფო კრიზისი უკვე დაიწყო.

ადენაუერს განზრახული აქვს სახელმწიფო გადატრიალების საშუალებით თავიდან აიცილოს ეს სახელმწიფო კრიზისი. მას სურს მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“ ხელი მოაწეროს არა მარტო დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებასურვილის წინააღმდეგ და მის დაუკითხავად, არამედ ბონის ფედერალური პარლამენტისაგან კონსტიტუციით გათვალისწინებული თანხმობის მიუღებლადაც.

ადენაუერისა და მის თანამზრახველთა მიერ საშობლოს ღალატს უნდა დაუპირისპირდეს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმე. მშრომელთა მოქმედების ერთიანობა და დასავლეთ გერმანიის მთელი მოსახლეობის მასობრივი მოქმედება ადენაუერის მთავრობის დამხობის მიზნით —აი რას მოითხოვს მომენტი! ადენაუერთან ერთად დაემხობა ამერიკელთა მთელი პოლიტიკა გერმანიის მიწაწყალზე, პოლიტიკა, რომლის მიზანია დამონება და ომის გაჩაღება.

* * *

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 7 აპრილის განცხადებაში ნათქვამია:

„დასავლეთ გერმანიაში წინააღმდეგობის პატრიოტული მოძრაობა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება ძლიერი და მძლავრი უნდა იყოს, რათა საესებით მომზადებული შევხვდეთ გერმანიის მტრების ეერაგულ გეგმებს და ჩავშალოთ ისინი“.

განთავისუფლების დღეს მთავრობის ამ მოწოდებას მდგომარეობის სერიოზულობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საბჭოთა ჯარებს უნდა გაეთავისუფლებინათ გერმანია ომის საკუთარი გამჩაღებლებისაგან, რადგან გერმანელმა ხალხმა ვერ ჰპოვა ძალა—გამოეცნო და ჩაეშალა ჰიტლერელი ბანდიტების საომარი კურსი, იმიტომ რომ გერმანელი ხალხის პატრიოტული და მშვიდობისმოყვარული ძალები დაქუცმაცებული, სუსტი და უძლური იყვნენ. საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანიის იმპერიალიზმი და ჰიტლერული ფაშიზმი. 1945 წლის 8 მაისის გამარჯვებისა და პოტსდამის შეთანხმების საფუძველზე საბჭოელთ გერმანიის დამნაშავეებს—აღმოსავლეთ გერმანიის მონოპოლისტებსა და იუნკრებს წაართვეს ძალაუფლება და ისინი განდევნილ იქნენ. ახლა მათს საწარმოებს ფლობს ხალხი, ხოლო მათ მიერ დატაცებული მიწა ეკუთვნის გლეხებს, რომლებიც მას ამუშავებენ.

კონცერნების მეპატრონენი და იუნკრები, სიძულვილით აღსავსენი და განდევნილნი, ახლა ამერიკის იმპერიალიზმის მთავარ მოკავშირეებს წარმოადგენენ. ისინი კვლავ ხმამაღლა და თავხედურად აცხადებენ „ევროპაში ურალამდე ახალი წესრიგის“ თავიანთ გეგმებს. ჩვენ ვიცით — და ეს ყოველმა გერმანელმა უნდა იცოდეს, — რომ ასეთი ახალი წესრიგი „სამხედრო ეკონომიკის ფიურერების“, ომის გაჩაღების და დამონების ძველი წესრიგია, რომ მათ სურთ წაართვან ხალხს აღდგენისათვის დახარჯული ჩვენი შრომის ნაყოფი, რომ მათ სურთ გარეკონ გლეხები მათი მიწის ნაკვეთებიდან, რომ მათ სურთ ომის ბოროტმა სულმა დაანგრიოს ჩვენი რესპუბლიკის აყვავებული მშვიდობიანი მეურნეობა და ოდერ-ნოისეს იქითა მხარისა და ერცგებირგეს იქითა მხარის ჩვენი მეზობლების სასიხარულო შრომა.

ჩვენი განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა გმირების საფლავებზე, ჩვენი ეროვნული პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, საზეიმოდ ვდებთ პირობას, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება იმ ჰოსახლეობის ერთიანობისა და სიფხიზლის საშუალებით, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან, საკმაოდ ძლიერი და მძლავრი იქნება იმისათვის, რომ ულმობლად ჩაახშოს საბოტაჟის, ომის პროპაგანდისა და პოლიტიკური ცილისწამების ოდნავი ცდები.

* * *

განთავისუფლების დღე მოითხოვს ჩვენგან მტკიცედ, მთელი ჩვენი ძალღონის დაძაბვით ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის. ჩვენი მშრომელები, სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ რა მშენებლობაში, მშვიდობის ვახტზე დგანან, რათა ჩვენი რესპუბლიკა გადააქციონ დაქირავებული არმიის შექმნისა და მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერისადმი ნებისმიერ ფაქტორ-ფაქტორ ბრძოლის ფარმოების ვალდებულების დღე, გერმანიის დემოკრატი

# კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგაციის მეთაურის გენერალ ნამ ირის განცხადება

**პეკინი,** 7 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

28 აპრილიდან წარმოებს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე სრული შემადგენლობის დელეგაციების დახურული სხდომები. 2 მაისს კორეისა და ჩინეთის მხარემ შეიტანა საერთო კომპრომისული წინადადება დღის წესრიგის სხვადასხვა პუნქტის ყველა გადაუჭრელ საკითხზე.

მაგრამ 2 მაისით დაწყებული, ამერიკელებს, რომლებიც კვლავ ცდილობენ დახურული სხდომების საიდუმლოებით მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა, მუდამ ქედმაღლური პოზიცია უკავიათ და უარს ამბობენ მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევაზე.

იმისათვის, რომ მსოფლიომ შეიტყოს სიმართლე სხდომების შესახებ და რომ ამერიკელთა თვითნებური დაუსაბუთებელი პოზიცია საკვებით მხილებულ იქნას, ჩვენმა მხარემ სრული შემადგენლობის დელეგაციების სხდომაზე 7 მაისს ოფიციალურად შეიტანა წინადადება შეწყდეს დახურული სხდომები და განახლდეს ღია მოლაპარაკები.

ქვემოთ მოყვანილია კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგაციების მეთაურის გენერალ ნამ ირის განცხადების ტექსტი:

28 აპრილს თქვენმა მხარემ მოითხოვა მოგვეწყო სრული შემადგენლობის დელეგაციების დახურული სხდომები და განაცხადა, რომ, მისი აზრით, დახურული სხდომები უფრო მიზანშეწონილია გადაუჭრელი საკითხების საერთო მოწესრიგებისათვის. 28 აპრილს დახურული სხდომების დაწყების შემდეგ და მას შემდეგ, რაც თქვენმა მხარემ თავიდან წინადადება შემოიტანა და ჩვენმა მხარემ 2 მაისს წამოაყენა თავისი დასაბუთებული წინადადება, თქვენს მხარეს უკავია მოლაპარაკებაზე უარისთქმის პოზიცია და ცდილობს მიგვაღებინოს თქვენი ცალმხრივი დაუსაბუთებელი წინადადება. ამრიგად, შეეძლებელი იყო ამ სხდომებზე რაიმე პროგრესის მიღწევა. ისეთ მდგომარეობაში, როცა თქვენი მხარე მოითხოვს, რომ მე-4 პუნქტის განხილველ შტაბის ოფიცერთა სხდომები და სრული შემადგენლობის დელეგაციებს სხდომები ამართებოდეს დახურული სხდომების სახით, ხოლო ამავე დროს ამ სხდომებზე მუდამ უკავია მოლაპარაკებაზე უარისთქმის პოზიცია, დახურული სხდომები გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ მსოფლიოს დაუმალონ სიმართლე მოლაპარაკების შესახებ, და ეს სხდომები არავითარ სასარგებლო მიზნებს არ ემსახურება. ჩვენი მხარე მუდამ ამ აზრისა იყო, რომ საკითხების მოწესრიგება არ არის დამოკიდებული სხდომების ფორმაზე, არამედ დამოკიდებულია საკითხების მოწესრიგების დროს გულწრფელობაზე და მოლაპარაკების წარმოების სურვილზე. სხდომების ფორმის მიუხედავად, თუ არსებობს გონივრულ საფუძველზე საკითხების მოწესრიგების გულწრფელი სურვილი, ეს საკითხები შეიძლება მოწესრიგებულ იქნას მოლაპარაკების გზით. ამიტომ ჩვენ ოფიციალურად ვიძლევით წინადადებას შეწყდეს დახურული სხდომები და დღიდან დაწყებულ იქნას სრული შემადგენლობის დელეგაციების ღია სხდომები.

28 აპრილს თქვენმა მხარემ შემოიტანა წინადადება, რომლის მიზანიც იყო, როგორც თქვენ აცხადებდით, ყველა გადაუჭრელი საკითხის სრული მოწესრიგება. ნამდვილად კი იგი ოდნავაც არ არის ყოველმხრივი წინადადება ყველა გადაუჭრელი საკითხის მოსაწესრიგებლად. თქვენი წინადადების ერთადერთი დათმობა ის არის, რომ თქვენი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე — შეზღუდულ იქნას აეროდრომების მშენებლობა კორეაში, რაც წარმოადგენს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის მოთხოვნას და რომელზეც თქვენ უკვე დიდი ხნის წინათ უნდა აგეღოთ ხელი; მაგრამ თქვენ კვლავ დაჟინებით იცავთ თქვენს სრულიად დაუსაბუთებელ აზრს ჩვენი მხარის მიერ წამოყენებული წინადადების წინააღმდეგ, რომელიც შეეხება ნეიტრალური ქვეყნების საინსპექციო კომისიის წევრებად ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურებს და თქვენ კვლავ დაჟინებით იცავთ თქვენს ცალმხრივ და დაუსაბუთებელ მოთხოვნას — დაკავოთ ჩვენი მხარის 100 ათასზე მეტი ტყვე.

აეროდრომების მშენებლობის ეგრეთწოდებულ შეზღუდვას თავისთავად საერთო არა აქვს რა მოლაპარაკებასთან დაზავების შესახებ. საკითხი, შენდება თუ არა რაიმე ნაგებობა კორეაში, სავსებით და მთლიანად ისეთი საკითხია, რომელიც საშინაო საქმეებს ეხება, და სავსებით ცხადია, რომ იგი არ უნდა იქნას განხილული დაზავების შესახებ მოლაპარაკების დროს. ამ საკითხზე ყველა თქვენი მოსაზრების გასაბათილებლად, ჩვენი მხარე უკვე დიდიხანია დათანხმდა, რომ დაზავების პერიოდში არც ერთმა მხარემ არ უნდა ჩაიყვანოს კორეაში რაიმე სამხედრო მაშველი ძალები, და სპეციალურ პირობად წამოაყენა, რომ არც ერთი სამხედრო თვითმფრინავი არ უნდა იქნას ჩატანილი კორეაში როგორც მაშველი ძალა. თქვენს მხარეს არავითარი საფუძველი არა აქვს განაგრძოს ამის მოთხოვნა, რის მიზანია ჩვენი მხარის საშინაო საქმეებში ჩარევა.

ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურათა საკითხში ჩვენი პოზიცია სავსებით დასაბუთებულია. ჩვენ წამოვაყენეთ სამი ქვეყნის კანდიდატურები, რომლებიც სავსებით შეესაბამება ნეიტრალური ქვეყნის შეთანხმებულ განსაზღვრას; ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება, რომ თვითეული მხარე ერთსა და იმავე დროს და მთლიანად დაეთანხმოს მეორე მხარის კანდიდატურებს ანდა თვითეულმა მხარემ შეთანხმების მიუღწეველად წამოაყენოს ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურები. თქვენმა მხარემ არ წარმოადგინა არავითარი გონივრული ახსნა-განმარტება—და თქვენ არც მოგვიპოვებათ იგი, — თუ რატომ ამბობს უარს ნეიტრალური ქვეყნების რომელიმე კანდიდატურაზე, რომელიც ჩვენ წამოგაყენეთ. მაგრამ ყველა გადაუჭრელი საკითხის საერთო მოწესრიგების მიღწევის მიზნით და უახლოეს დროში კორეაში დროებითი ზავის დადების მიზნით, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის ძირითადი სურვილი, ჩვენმა მხარემ 2 მაისს წამოაყენა თავისი დასაბუთებული კომპრომისული წინადადება იმის შესახებ, რომ თუ თქვენი მხარე უარს იტყვის თავის მოთხოვნაზე ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმეებში აეროდრომების მშენებლობის შეზღუდვის საშუალებით და მიიღებს ჩვენს ახლანდელ დასაბუთებულ კომპრომისულ წინადადებას საქმეზე, ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ თქვენს წინადადებას იმის შესახებ, რომ ნეიტრალური ქვეყნების საინსპექციო კომისია შედგებოდეს ოთხი ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლებისაგან.

რაც შეეხება სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხს, დიდხანს არსებული ჩიხის ლიკვიდაციისა და ურთიერთდათმობის საფუძველზე საკითხის მოწესრიგების მიზნით, ჩვენ ჯერ კიდევ 21 და 27 მარტს დიდ დათმობაზე წავედით თქვენი მხარის მიმართ და წამოვაყენეთ ჩვენი პრინციპი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ და წინადადება მოწესრიგების შესახებ.

21 მარტს ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება გადადებულიყო განხილვა საკითხისა ჩვენი მხარის 44 ათასი სამხედრო ტყვის შესახებ, რომლებიც უკანონოდ კლასიფიცირებულ იქნენ როგორც დაპატიმრებული სამოქალაქო პირები, და ამავე დროს ორივე მხარეს მიეღო მათ ხელში მყოფი ყველა სამხედრო ტყვის უცილობელი რეპატრიაციის პრინციპი იმ სიების შესაბამისად, რომლებიც მხარეებმა გაცვალეს 1951 წლის 18 დეკემბრის. შემდეგ 27 მარტს ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება, რომ თვითეულ მხარეს უცილობლად მოეხდინა ყველა სამხედრო ტყვე კორეელის რეპატრიაცია; მაგრამ, რომ საქმირო არ არის იმ სამხედრო ტყვე კორეელების რეპატრიაცია, რომელთა საცხოვრებელი ადგილები მათი ტყვედ წამყვანი მხარის კონტროლის დაქვემდებარებულ რაიონებშია, და რომლებსაც სურთ დროებითი ზავის დადებისთანავე დაბრუნდნენ შინ. მაგრამ თქვენს მხარეს არ მოუხდენია არც ერთი ნამდვილი დათმობა სწორედ იმ დროიდან, რაც გასული წლის 11 დეკემბერს დაიწყო სამხედრო ტყვეთა საკითხის განხილვა. პირიქით, თქვენ ფაქტიურად უარყავით თქვენი საკუთარი გარკვეული განცხადებანი და კონკრეტული დაბარება, რომლითაც გამოთქვით მზადყოფნა გადაგეტრათ ეს საკითხი სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის ჩვენი 21 მარტს წამოყენებული პრინციპის შესაბამისად და დასახელეთ ციფრი, რომელიც უახლოდებოდა 116 ათასს, როგორც ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეთა საერთო რიცხვი, რომელთა რეპატრიაციაც თქვენ მზად ხართ მოახდინოთ. თქვენი მხარე განაგრძობს უაზრო ცდებს გამოიყენოს ჩვენი მხარის ყველა სამხედრო ტყვისადმი ეგრეთწოდებული ნებაყოფლობითი რეპატრიაციის პრინციპი; თქვენ განაცხადეთ, რომ ახდენთ დაახლოებით 70 ათასი კაცის რეპატრიაციას და ამრიგად ცდილობთ დააკავოთ 100 ათასზე მეტი ჩვენი ადამიანი. მაშინ როცა თქვენ თანახმა ხართ თქვენს ხელში მყოფი ჩვენი მხარის 176 ათასი სამხედრო ტყვიდან მოახდინოთ მხოლოდ 70 ათასი კაცის რეპატრიაცია, ჩვენ მზად ვართ მოვახდინოთ ჩვენს ხელში მყოფი თქვენი მხარის 12 ათასივე სამხედრო ტყვის რეპატრიაცია.

მთელი გარკვეულობით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცალმხრივი და უგუნური წინადადება და ბოროტგანზრახული ფანდი არავითარ პირობებში არ შეიძლება განიხილოს ჩვენმა მხარემ. ჩვენი მხარის ტყვედ წაყვანილი პიროსნალის ეგრეთწოდებული „შემოწმება", რომელსაც თქვენი მხარე ძალით ახორციელებს, მთლიანად ეწინააღმდეგება ჟენევის კონვენციას და სრულიად უკანონოა. ამიტომ ამ უკანონო შემოწმების თქვენ მიერ გამოცხადებულ შედეგებს არავითარი ძალა არა აქვს. თქვენს 28 აპრილის წინადადებაში თქვენ მიერ განმეორებით გამოყენებული ცალმხრივი და უგუნური მოთხოვნა ცხადყოფს მხოლოდ იმას, რომ თქვენი მხარე ოდნავაც არ ზრუნავს ტყვედ ჩავარდნილი თავისი საკუთარი პერსონალის ინტერესებისათვის. მან დაამტკიცა, რომ თქვენი მხარე წინასწარი განზრახვით ცდილობს გააჭიანუროს ან კიდევაც ჩაშალოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ. სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის ჩვენი 21 მარტის პრინციპი და მოწესრიგების შესახებ ჩვენი 27 მარტის წინადადება შეიცავს დიდ დათმობას თქვენი მხარისადმი. თქვენს მხარეს არავითარი საფუძველი არა აქვს უარი თქვას ამ გონივრული კომპრომისული წინადადების მიღებაზე. 2 მაისს ჩვენს საერთო წინადადებაში ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურების საკითხში. მით უმეტეს თქვენს მხარეს არავითარი მიზეზი არა აქვს უარყოს ჩვენი საერთო კომპრომისული წინადადება. მაგრამ ამ დროიდან თქვენ ქედმაღლური პოზიცია დაიკავეთ, არა გსურთ ყური უგდოთ წამოყენებულ საბუთებს და უარს ამბობთ მათს განხილვაზე, რადგან ცდილობთ თავს მოგვახვიოთ ცალმხრივი და დაუსაბუთებელი წინადადება. თქვენ არაერთხელ განგიცხადებიათ, რომ თქვენი წინადადება საბოლოოა და არ შეიძლება შეიცვალოს და რომ ეს წინადადება საფუძვლად უნდა დაედოს საბოლოო შეთანხმებას. თქვენ აშკარადაც კი განაცხადეთ, რომ განზრახული გაქვთ მომავალშიც დაიცავთ ეს ქედმაღლური პოზიცია და უარს ამბობთ ყური დაუგდოთ საბუთებს. ეს კი იმის აშკარა ცდაა, რომ გაჭიანუროთ და ჩაშალოთ მოლაპარაკება დაზავების შესახებ. კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაციაზე ვერ იმოქმედა თქვენი მხარის ასეთმა დესპოტურმა და ლაშუქრების პოზიციამ. კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაცია მუდამ ცდილობდა რაც შეიძლება მალე დაედო დაზავების ხელშეკრულება და ამ მიზნით მოთმინებით ეწევა მოლაპარაკებას თქვენს მხარესთან. მაგრამ ჩვენი დელეგაცია ყოველ სხდომაზე უაღრესად მტკიცედ უარყოფს თქვენს ცალმხრივ და უგუნურ წინადადებას. მოლაპარაკების წარმატებით მიმდინარეობის ინტერესებისათვის თქვენმა მხარემ უკანვე უნდა წაიღოს თავისი დესპოტური უარი განხილაზე და გადასინჯოს თავისი თვალსაზრისი. ჩვენ ამოვწურეთ ჩვენი ღონისძიებანი. შემდეგი ნაბიჯი დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში მთლიანად დამოკიდებულია თქვენს მხარეზე.

# კორეასა და ჩინეთში ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულის წინააღმდეგ

**პარიზი,** 7 მაისი. (საკდესი). გუშინ პარიზში მიუტიუალიტეს დარბაზში გაიმართა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მიერ მოწყობილი საინფორმაციო თათბირი ბაქტერიოლოგიური ომის საკითხზე, რომელსაც ამერიკელი ინტერვენტები ეწევიან კორეაში. თათბირი წარმოებდა ქ-ნ ეჟენი კოტონის თავმჯდომარეობით. თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს პასტორ ბოსკის, ჟილბერ დე შამბრუნის, პროფესორ მარსელ პრენანისა და კორეიდან და ჩინეთიდან დაბრუნებულ მარკ ეკაიეს სიტყვები. ეკაიემ თავის სიტყვაში მოიყვანა უდავო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 7 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვის ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. გუშინ ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგე ავიაციისა და ტანკების დახმარებით ცდილობდა იერიში მოეტანა სახალხო ჯარების პოზიციებზე, მაგრამ ზარალი მოუვიდა და უკუგდებულ იქნა.

არტილერიის ცეცხლით კორეის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩაძირულია მოწინააღმდეგის ერთი ტრალერი.

საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

# ამერიკელ ჰაერის მეკობრეთა ბარბაროსული თავდასხმები

**ფხენიანი,** 7 მაისი. (საკდესი). დღეს დილით და დღისით ამერიკის რეაქტიული თვითმფრინავები 12-ჯერ დაესხნენ თავს ფხენიანის მიდამოებს, დაბომბეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს ყანებს, რომლებშიც გლეხები მუშაობდნენ, აგრეთვე ფხენიანისაკენ მიმავალ გზებს, სადაც გლეხთა საზიდრები მიდიოდნენ. თავდასხმის შედეგად არის ნგრევა და მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

# პრაღას ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

**პრაღა,** 7 მაისი. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 7 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე დასასწრებლად დღეს პრაღას ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ი. ლავრენტიევი.

რუხის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით, საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ეროვნული კრების თავმჯდომარე ოლდრიხ იონი, პრემიერ-მინისტრი ანტონინ ზაპოტოცკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვილემ შიროკი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ა. ჩეპიჩკა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სხვა წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ანტონინ ნოვოტნი, ვაცლავ დავიდი, იოზეფ ტესლა და იინრიხ უგერი, ეროვნულ ფრონტში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრაღის პრიმატორი ვაცლავ ვაცეკი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციების წევრები, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ, აგრეთვე ამ ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივცემად აეროდრომზე ჩამწყრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

**პრაღა,** 7 მაისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი მეთაურობს, ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრს ანტონინ ზაპოტოცკის. დელეგაციის წევრებს პრემიერ-მინისტრთან ჭონდათ საუბარი, რომელიც გულითად ვითარებაში ჩაიარა.

პრემიერ-მინისტრ ანტონინ ზაპოტოცკის დღეს ოფიციალური ვიზიტი გაუკეთეს აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და ალბანეთის თავრობის დელეგაციებმა, რომლებიც პრაღაში ჩამოვიდნენ საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავის დღესასწაულზე.

# ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი

**ლონდონი,** 7 მაისი. (საკდესი). ინგლისური გაზეთების ცნობებით, არავითარი შედეგი არ გამოუღია ზეგავლენას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსმა ადმირალმა ფეჰტლერმა მოახდინა, რათა ინგლისი დაეთანხმებინა იმაზე, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის პოსტზე ხმელთაშუა ზღვის რაიონში ამერიკელი დაენიშნათ.

გუშინ ფეჰტლერი ლონდონიდან ვაშინგტონს გაფრინდა და გამგზავრების წინ პრესის წარმომადგენლებს აეროპორტში განუცხადა, უთანხმოება აღმოფხვრილი არ არისო.

გაზეთ „დეილი ექსპრესის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ ლონდონში ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება ჩიხშალა და ამ პრობლემაზე „კვლავ იმუშავებენ სახელმწიფო მოღვაწეები". იგი დასძენს: „მოლაპარაკებას შესახებ ვაშინგტონში მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ პრაქტიკულად ყველა საკითხში სრული წინააღმდეგობაა...

როცა ინგლისის წარმომადგენელმა დაიწყო მტკიცება, რომ ხმელთაშუა ზღვა კვლავ ბრიტანეთის იმპერიის უმნიშვნელოვანესი არტერიაა, ფეჰტლერმა საკმაოდ მკვახედ უპასუხა: ამერიკა დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ მხარი დაუჭიროს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციას ევროპაში, და მისი ვალდებულებანი მხოლოდ ამით განისაზღვრება და რომ მას არავითარი სურვილი არა აქვს იკისროს ბრიტანეთის იმპერიის განსაკუთრებული ვალდებულებანი".

გაზეთი „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში წერს: „ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინგლისი, მათი აზრით, სატელატია, რომელიც ბრძანებებს ისე უნდა დაემორჩილოს, რომ დიდი ხმაური არ ატეხოს...

ამერიკელთა პოზიცია ცხადყოფს, რომ მათი მიზანია არა ევროპის დაცვა, არამედ მისი დამორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობისადმი.

# დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის მოწოდება

**ბერლინი,** 7 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა განთავისუფლების დღისათვის შემდეგი მოწოდება გამოაქვეყნა:

„8 მაისს, განთავისუფლების დღეს, სიხარულისა და პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი მადლობას უძღვნის დიდ საბჭოთა კავშირს და მის ძლევამოსილ არმიას, რომლის გმირული ბრძოლის შედეგად მოსპობილ იქნა ჰიტლერული ფაშიზმის ტირანია.

საბჭოთა არმიის გამარჯვებამ ფაშიზმის მრავალი სამარცხვინო წლის შემდეგ გათავისუფლა ახალი დემოკრატიული გერმანიის მშვიდობიანი მშენებლობის გზა. საბჭოთა კავშირის ხალხებმა დახმარების ხელი გამოუწოდეს გერმანელ ხალხს. ჯერ კიდევ 1942 წელს გენერალისიმუსმა სტალინმა წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: „...ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი, გერმანიის სახელმწიფო კი—რჩება".

სტალინის ამ სიტყვების ერთგული სსრ კავშირის მთავრობა მუდამ და ყველა საერთაშორისო თათბირზე მთელი ენერგიით მოქმედებდა იმისათვის, რომ გერმანიასთან დაედოთ საზავო ხელშეკრულება და ამით აღმოეფხვრათ გერმანელი ერის გათიშვა.

მშვიდობისა და გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის ამ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები ეწევიან გერმანიის გათიშვის პოლიტიკას, ახალი ომის მომზადების პოლიტიკას. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციით და გერმანელი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერით ეს აგრესიული პოლიტიკა საბოლოოდ იქნება განგრძობილი.

საბჭოთა კავშირის ყველა ღონისძიება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის დარგში დღემდე მხოლოდ უარს ხვდებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ. მშვიდობის მსოფლიო ბანაკის დიდი ხელმძღვანელისა და გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობრის გენერალისიმუს სტალინის განცხადებას ამის შესახებ, რომ ახლანდელი მომენტი ხელსაყრელია გერმანიის გაერთიანებისათვის, განცხადებას, რომელიც გამსჭვალულია კაცობრიობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობით, მოწონებით შეხვდნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები და იგი აღფრთოვანებით მიიღო გერმანელმა ხალხმა, მაგრამ პეტერსბერგელ ვაჭრებრონებს და მათს ბონელ მარიონეტებს არა სურთ გერმანიის ერთიანობა; მათ სურთ გადაკეცონ დასავლეთ გერმანია ბაზად თავიანთი აგრესიისათვის აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

8 მაისი ეროვნული მოვალეობის დღეა. გერმანიის მოწ-წყალზე ახალი ომის მზადების წინააღმდეგ და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლაში გერმანელი პატრიოტები უკლებლივ ყველანი უნდა გაერთიანდნენ, რათა თავიდან მოიშორონ ხალხისათვის დაძულებული და მტრული ადენაუერის რეჟიმი. ამ ბრძოლის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანია.

ყოველი გერმანელი პატრიოტისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მაგალითია. იგი წარმოადგენს ბასტიონს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში. 8 მაისს ჩვენი ერთერთი ვალდებულებაა მტკიცე მხარდაჭერა მიიღო. ყველგან გაიმარჯვოს იმის შეგნებამ, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ჩვენთვის უზრუნველყოფს მშვენიერ მომავალსა და უკეთეს ცხოვრებას!

8 მაისს, ფაშიზმისა და ომისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების დღეს, ჩვენ კვლავ და მეტი სიმტკიცით ვადასტურებთ:

სამარადისო მეგობრობა იმათთან, ვინც ფაშიზმისაგან გაგვათავისუფლა!

სამარადისო მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან!

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყების ცნობები

**ბერლინი.** 7 მაისი (საკდესი). როგორც ჩანს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყების ცნობიდან, რომელიც ადნ-ის სააგენტომ გადმოგვცა, ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის საგემარკაციო ხაზზე მოხდა მთელი რიგი პროვოკაციები, რომლებისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა მფარველობაში მყოფ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთ.

ცნობაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 14 აპრილს დასახლებულ პუნქტ პოსეკის (საქსონია) რაიონში დასავლეთ გერმანიიდან შემოგზავნილი აგენტები ცდილობდნენ დაეყოლებინათ მოსახლეობა ჯგუფ-ჯგუფად გადასულიყო საგემარკაციო ხაზზე. ამავე დროს ამავე რაიონში, საგემარკაციო ხაზის დასავლეთით, გამოჩნდა ამერიკის ჯავშნიანი მზვერავი ავტომანქანა და სავლე რადიოსადგურიანი ავტომანქანა, რომლებშიც ამერიკელი ჯარისკაცები ისხდნენ. ამერიკელ ჯარისკაცთა შორის იყვნენ აგრეთვე ბონის სასაზღვრო პოლიციის ოფიცერი და ერთი რიგითი ჯარისკაცი. ცნობაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ მოსახლეობისა და სახალხო პოლიციის სიფხიზლის მეოხებით აღნიშნულ რაიონში, მიუხედავად ამ პროვოკაციისა, არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. 26 აპრილს დასახლებულ პუნქტ ჰომპერტსჰაუზენის (ტიურინგია) მიდამოებში დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო პოლიციისავე მონაწილეობით სცადეს მოეწყოთ ადამიანთა ჯგუფის გადასვლა საგემარკაციო ხაზით დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ ასეთი ცდები — მოეწყოთ არალეგალური გადასვლა საგემარკაციო ხაზზე — მოხდა დასახლებული პუნქტების ემშტადტისა და ჰეილინგენის (ტიურინგია), ვეტჰაიმის (საქსონია-ანჰალტი) რაიონში და მთელ რიგ სხვა ადგილებში. „ყველა ეს შემთხვევა, — ნათქვამია ცნობაში,—ნათლად ამტკიცებს, რომ ხალხის ბონელი მოღალატენი მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" განზრახულ ხელმოწერასთან ერთად ცდილობენ საგემარკაციო ხაზი განუწყვეტელი და სულ უფრო მზარდი პროვოკაციების ადგილად აქციონ, რათა ჩაახშონ გერმანელი ხალხის მისწრაფება ერთიანობისაკენ. ეს მათ ვერ უნდა მოახერხონ! დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ყველა მოძხრემ ყოველნაირად უნდა გააძლიროს სიფხიზლე და მხარი დაუჭიროს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, რათა თავის დროზე ჩაშალოს გერმანელი ხალხის უბოროტესი მტრების დანაშაულებრივი გეგმები, ამხილოს და სამართლიან პასუხისგებაში მისცეს ის აგენტები და პროვოკატორები, რომლებიც ცდილობენ ჩაშლონ მშვიდობიანი მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში".

* * *

ადნ-ის სააგენტომ გადმოგვცა საინფორმაციო უწყების ცნობა, რომ მხილებულია სპეკულანტთა მთელი რიგი ჩხოვები, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ბერლინის დემოკრატიული სექტორიდან დასავლეთ ბერლინში გაჰქონდათ კვების პროდუქტები და საქონელი, რათა იოლი მოგება მიეღოთ მშრომელთა ხარჯზე.

ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონტროლო ორგანოების მიერ დასავლეთ ბერლინის სპეკულანტების სხვადასხვა ხრიკების გამომჟღავნება შესაძლებელი გახდა ბერლინის მოსახლეობის აქტიური დახმარების მეოხებით. ამავე დროს, ნათქვამია ცნობაში, გამოირკვა, რომ დასავლეთ გერმანიის პოლიცია ყოველნაირ დახმარებას უწევს ამ სპეკულანტებს და დევნის დასავლეთ ბერლინის იმ უმუშევრებსა და პენსიონერებს, რომლებიც დემოკრატიულ სექტორში ყიდულობენ კვების პროდუქტებს.

* * *

ადნ-ის სააგენტომ გადმოგვცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საინფორმაციო უწყების ცნობა იმ ჯაშუშთა და დივერსანტთა ჯგუფის გასამართლების შესახებ, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამერიკის დაზვერვის დავალებით ძირგამომთხრელ და დივერსიულ საქმიანობას ეწეოდნენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით ჯგუფის მეთაურებს — ჰიუნტერ გერმანსა და ერნსტ ვაგნერს მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა, სხვა ბრალდებულებს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა — 4-დან 15 წლამდე.

# გამარჯვების ზეიმისადმი ბერლინელების მიგებულ ფიცი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამარჯვების დღის — 9 მაისის აღსანიშნავი გამოფენა.

გამოფენის სტენდებზე წარმოდგენილი მასალები ასახავენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლის და ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპებს.

წარმოდგენილი ლიტერატურა, საილუსტრაციო მასალები და დოკუმენტები მოგვითხრობენ სტალინგრადის გათავისუფლებისათვის საბჭოთა არმიის გმირულ ბრ